საბჭოთა საქართველო დიდი ფეიმის წინ

წინასაიუბილეო დღეთა მაძლავრი მაჯისცემა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

6 მაისი ხუთშაბათი 1971 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 103 (15013)

ვულის ნათელი მე მიჰოვია,
ქართლის დიდების მე ვარ მნახველი;
სამშობლო — ჩემი გულის ფეთქვაა,
სამშობლო — ჩემი ლექსის სახელი.

გიორგი ლეონიძე.

50

ხალხის ნდობა

ხალხის ხელისუფლების არჩევნები ყოველთვის დიდი პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობის კამპანიაა ჩვენში. იგი მუდამ მშრომელთა ფართო მასების აქტიურობის ვითარებაში მიმდინარეობს. ასეა ახლაც. დიდი გაცხოველებითა და შემოქმედებითი ალმავლობით დაიწყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, სარაიონო, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნებისათვის მზადება.

წლევანდელი საარჩევნო კამპანია მიმდინარეობს უაღრესად ღირსშესანიშნავ დროს. რამდენიმე ხნის წინათ ჩვენი სამშობლოს გულში — მოსკოვში მუშაობა დამთავრა ლენინური პარტიის XXIV ყრილობამ. მან ღრმა მარქსისტულ-ლენინური ანალიზი გაუკეთა თანამედროვე ვითარებას, შეაჯამა უკანასკნელ წლებში პარტიის, საბჭოთა ქვეყნის მშრომელების მიერ გაწეული მუშაობა, და კომუნისტური მშენებლობის ახალი გრანდიოზული ამოცანები დაუსახა საბჭოთა ხალხს. ამ ისტორიული მნიშვნელობის ამბებს ემთხვევა საქართველოს მშრომელებისათვის ღირსშესანიშნავი თარიღების — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავის დღესასწაულისათვის მზადება.

ყველაფერი ის, რაც საბჭოთა ხალხმა გააკეთა და აკეთებს პარტიის ხელმძღვანელობით, მისი გიგანტური შემოქმედებითი შრომა განუყრელად დაკავშირებულია ხელისუფლების არჩევითი ორგანოების ნაყოფიერ მუშაობასთან — დაწყებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოთი და დამთავრებული მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოებით. პარტია დღენიადაგ ზრუნავს მათი როლის ამაღლებისათვის, საბჭოთა დემოკრატიის განვითარებისა და სრულყოფისათვის. ფეიმეული საბჭოთა ადამიანი სიამაყის გრძნობით ავლებს თვალს განვლილ გზას, სიამაყით იმისათვის, რაც გაუკეთებია ჩვენს ხალხს ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით. ჩვენს დიდ წარმატებებს რომ ვეცნობით, ჩვენი მრეწველობის განვითარებს, აუვავებულ საკოლმეურნეო მინდვრებს რომ გავცქერით, ჩვენს გონებაში სავსებით მკაფიოდ ისახება კიდევ უფრო ნათელი და მშვენიერი მომავლის გრანდიოზული პერსპექტივები.

ჩვენი საბჭოები გამოხატავენ ხალხის სრულ ძალაუფლებას. ისინი ძლიერნი არიან თავიანთი მახასრიობით. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ახლა ჩვენს რესპუბლიკაში არ არის არც ერთი საწარმო, არც ერთი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, სახალხო მეურნეობის არც ერთი უბანი, რომელსაც საბჭოებში თავისი წარმომადგენელი არა ჰყავდეს. ყოველივე ეს საბჭოებს აძლევს უზრუტ ძალასა და ენერგიას, უდიდეს შესაძლებლობას სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების გადაჭრაში, აძლიერებს მათს გავლენას ცხოვრების ყველა მხარეზე.

ჩვენი ცხოვრების ყველა უბანზე საბჭოების როლისა და ავტორიტეტის სულ უფრო ამაღლებაზე მკაფიოდ მეტყველებს ის დიდი მზრუნველობა, რასაც მთლიანი იჩენენ კომუნისტური პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი. ამას წინათ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო უაღრესად მნიშვნელოვანი დადგენილება საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ. ეს დადგენილება ახალ ეტაპს წარმოადგენს საბჭოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში. მან დიდი მოწონება დაიმსახურა ყველა საბჭოთა ადამიანის გულში, რომელთათვის უაღრესად ძვირფასი, მშობლიური და მახლობელია საბჭოთა ხელისუფლება, ჩვენი თანამედროვე ცხოვრება, კომუნიზმის მშენებლობის დიდი საქმე.

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, ხალქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნებისათვის მზადების პერიოდში დიდი პასუხსაგები ამოცანების წინაშე დგანან ჩვენი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები. უკვე წარმატებით გაიარა არჩევნებისათვის მზადების რამდენიმე ეტაპმა. ახლა მშრომელთა კრებებზე მიმდინარეობს დეპუტატობის კანდიდატების დასახელება. დეპუტატობის კანდიდატებად მშრომელები ასახელებენ მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლებს, იმათ ვინც ენერგიული და ერთგული შრომით გაითქვეს სახელები.

საარჩევნო კამპანია სულ უფრო ჩაღდება. წინ არის დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია, მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო სოოლქო თათბირები, შეხვედრები დეპუტატობის კანდიდატებთან და ა. შ. სწორედ ახლა იდეოლოგიური მუშაობის მრავალფეროვანი საშუალებები, აგიტატორთა და პოლიტინფორმატორთა საუკეთესო ძალები უნდა წარმართოს მოსახლეობაში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გასაჩაღებლად. ამ მუშაობის მთავარი შინაარსი ლენინური იდეების, პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის, სოციალისტური დემოკრატიისა და საბჭოთა საარჩევნო სისტემის პრინციპების ღრმა განმარტება უნდა იყოს. უდიდესი მნიშვნელობა აქვს არჩევნებისათვის ოპერატიულ და ყოველმხრივ ორგანიზებულ ტექნიკურ მომზადებას. არჩევნების დეტალურებით გათვალისწინებული ყველა ღონისძიების განხორციელება პარტიული, საბჭოთა ორგანოების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს, მათს ყოველდღიურ საფიქრალსა და საზრუნავს წარმოადგენდეს.

არჩევნებისათვის მზადებას და წარმატებით ჩატარებას თვით მშრომელნი ახორციელებენ. ათობით და ასობით საბჭოთა ადამიანი მონაწილეობს საარჩევნო კომისიების მუშაობაში, ზოგი ხდება მონაწილეობს საარჩევნო კომისიის წევრი, დეპუტატობის კანდიდატი. სულ უფრო ცხოველმყოფლად უნდა კიაფობდნენ ჩირაღდნები აგიტპუნქტებსა და ამომრჩეველთა კლუბებში. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ მშრომელები სიამოვნებით მიდიოდნენ იქ და ამომწურავ პასუხს იღებდნენ მათთვის საინტერესო საკითხებზე.

მომავალი არჩევნების დროს საბჭოებს ახალი ძალები შეემატება. არჩევნები კიდევ უფრო შეუწყობს ხელს საბჭოთა ორგანოების განმტკიცებას. ჩვენი საარჩევნო სისტემა ფართო შესაძლებლობას აძლევს ამომრჩევლებს დეპუტატთა არჩევის დროს თავისუფლად და მთლიანად გამოავლინონ თავიანთი ნება.

ახლანდელი საარჩევნო კამპანია მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პარტიის მიერ საბჭოების წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას, ჩვენი ცხოვრების ყველა უბანზე მათი აქტივობის შემდგომ ამაღლებას. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ არჩევნებისათვის მზადება და თვით არჩევნები ახალი ეტაპი გახდეს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ცხოვრებაში, ახალი წინგადადგმული ნაბიჯი სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარების ნათელ გზაზე. პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანაა დარაზმან მშრომელები იმისათვის, რომ არჩევნები ალინიშნოს ახალი პატრიოტული საქმეებით. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები კიდევ უფრო მაღლა ასწევენ სოციალისტური შეჯიბრების დროშას კომუნისტური მშენებლობის ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის, პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის.

საარჩევნო კამპანიის წარმატებით ჩატარების საქმეში საბჭოთა ადამიანების ერთსულოვნება კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის გამარჯვების უტყუარი საწინდარია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოში

საქართველოს სსრ და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა მუშაობის რესპუბლიკური დათვალიერებისა და საწარმოში მომჭირნეობისა და ყაირათიანობის შესახებ საუკეთესო გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვის კონკურსის შედეგები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ მიიღეს დადგენილება, რომელშიც აღნიშნულია, რომ საწარმოებმა, სამეცნიერო-საკვლევმა და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებმა, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა მუშაობის რესპუბლიკურ დათვალიერებასა და წარმოებაში მომჭირნეობისა და ყაირათიანობის შესახებ საუკეთესო წინადადების დანერგვის კონკურსში, მნიშვნელოვნად გააქტიურეს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საქმიანობა, გააუმჯობესეს საპატენტო-სალიცენზიო საქმე და აამაღლეს მშრომელთა შემოქმედების ეფექტიანობა.

დათვალიერება-კონკურსში მონაწილეობდა 19.388 გამომგონებელი და რაციონალიზატორი, რომლებმაც შეიტანეს 23.866 რაციონალიზატორული წინადადება. 22.041 მიღებული წინადადებიდან წარმოებაში დაინერგა 20.596 წინადადება, რომელთა ეკონომიური ეფექტია 22.372 ათასი მანეთი.

ამავე პერიოდში საწარმოებმა, სამეცნიერო-საკვლევმა, საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებმა და ცალკეულმა გამომგონებელებმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა კომიტეტში შეიტანეს 455 გამოგონების განაცხადი; უკვე მიღებულია 153 დადებითი დადგენილება საავტორო მოწმობათა გაცემის შესახებ და რეპუბლიკის სახელმწიფო მეურნეობაში დაინერგა 149 გამოგონება.

ამასთან დადგენილებაში აღნიშნულია, რომ მთელი რიგი სამინისტროების, უწყებებისა და საწარმოების ხელმძღვანელებმა, პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა და გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოების საბჭოებმა ხელსაყრელი პირობები ვერ შექმნეს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა ნაყოფიერი მუშაობისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ საგამომგონებლო და რაციონალიზატორულ მუშაობაში მიღწეული მაღალი შედეგებისათვის, აგრეთვე წარმოებაში წინადადებათა საუკეთესოდ დანერგვისათვის მიანიჭეს პრემიები: „ა“ **ჯგუფის საწარმოების ხაზით პირველი პრემია** — თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხანას 2.500 მანეთის ოდენობით; **მეორე პრემიები** თვითეული 2 ათასი მანეთის ოდენობით — თბილისის წითელი ვარსკვლავის ორდენოსან დიმიტროვის სახელობის სავაგონო ქარხანასა და ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანას; **მესამე პრემიები** — რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას 1500 მანეთის ოდენობით, ჭიათურის ლენინის ორდენოსან მარგანეცის ტრესტს 1500 მანეთის ოდენობით და რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანას 1125 მანეთის ოდენობით; „ბ“ **ჯგუფის საწარმოების ხაზით პირველი პრემია** 1000 მანეთის ოდენობით — თბილისის სტალინის სახელობის ელექტროგადაწოვმეკეთილი ქარხანას, **მეორე პრემიები** — 500-500 მანეთის ოდენობით — სოხუმის თევზის კომბინატსა და „საქსოფლტექნიკის“ რესპუბლიკური გაერთიანების დიღმის საცდელ სარემონტო-მექანიკურ ქარხანას; **მესამე პრემიები** — თბილისის კამეოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ 750 მანეთის ოდენობით, თბილისის № 5 ავტოსატრანსპორტო საწარმოს 500 მანეთის ოდენობით, ამიერკავკასიის მეტალურგიშენის ლენინის ორდენოსან № 1 ტრესტს 1000 მანეთის ოდენობით.

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა წინადადებებისათვის პრემიები მიენიჭათ: „ა“ **ჯგუფის საწარმოთა ხაზით, პირველი პრემია** 300 მანეთის ოდენობით — თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხნის საიზოლაციო მასალების ლაბორატორიის გამგეს გ. ო. ცხადაძეს, ნორმატივთა ბიუროს უფროსს ვ. ა. იტინსა და საკონსტრუქტორო განყოფილების უფროსის მოადგილეს ო. ბ. კოკოევს; **მეორე პრემია** 250 მანეთის ოდენობით — ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხნის მუშაკებს გ. ი. ციხცაძეს, გ. ი. ჭეიშვილს, გ. ა. დოლიძეს, შ. ე. ჩაგუნავას, ი. ი. დოლიძეს, ე. შ. არსიას, რ. პ. სლუსარევს, რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის საამქროს უფროსს ი. ა. ალფაიძეს, საამქროს უფროსის მოადგილეს ა. ა. ჩერნეევსა და საამქროს ოსტატს ს. ი. მახარაძეს; **მესამე პრემია** 200 მანეთის ოდენობით — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის უფროს ოსტატს ს. მ. ყარალაშვილს, საამქროს უფროსის მოადგილეს დ. ფ. ჩაჩავასა და უფროს ოსტატს ა. გ. კურტანიძეს, ტყიბულის ვ. ი. ლენინის სახელობის შახტის № 1 უბნის უფროსს დ. ვ. მაღლაფერიძეს, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მთავარ ენერგეტიკოსს შ. მ. კვეტენაძეს, მთავარი ენერგეტიკოსის მოადგილეს პ. მ. ნებიერიძესა და ქსელებისა და ქვესადგურების უფროსს ა. ს. მარჯანიშვილს.

„ბ“ **ჯგუფის საწარმოთა ხაზით პირველი პრემია** 250 მანეთის ოდენობით საქართველოს სსრ კავშირის მრეწველობის სამინისტროს თბილისის № 1 თამბაქოს ფაბრიკის მთავარ ინჟინერს უ. ვ. ხაფავას, ინჟინერებს ი. ა. ზენტიკასა და ა. შ. ჩიბანიოს; **მეორე პრემია** 200 მანეთის ოდენობით — „თბილისმრეწვმშენის“ № 3 ტრესტის № 8 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უფროს სამუშაოთა მწარმოებელს პ. ა. მათოიშვილს, სახელმწიფო თევზმრეწის ბათუმის ბაზის 1151 შუამავლობის სეიფერის კაპიტანს გ. მ. უცლებს; **მესამე პრემია** 150 მანეთის ოდენობით — თბილისის № 7 სამკერვალო ფაბრიკის № 5 საამქროს უფროსს ა. ვ. მელიქოვს, № 5 საამქროს ტექმოლოგს ნ. გ. ვეშაგურსა და საექსპერიმენტო საამქროს ჩამწყობს ი. ნ. კობიაშვილს, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და ლითონნაწარმის შემკეთებელი ქარხნის სარემონტო-მექანიკური საამქროს ზეინკალს გ. მ. შეროზიას, თბილისის მეტროპოლიტენის მუშაკებს ზ. ე. გუდაკაძეს და ი. ვ. ქსენდოფოლს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეფუტკრეობის საცდელი სადგურის მუშაკებს კ. ვ. ხარაიძესა და რ. მ. ზავრიშვილს, საქართველოს სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციისა და მექანიზაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშაკებს შ. ი. ლეპსვერიძეს, კ. გ. ფალავანდიშვილს, ა. ი. ივანაშვილს, გ. გ. სენნიაშვილს, ე. ვ. რჩეულიშვილსა და ო. ა. მეფარიშვილს.

ფუნდი პრემიები, რომლებიც საწარმოებსა და ორგანიზაციებს მიენიჭათ რესპუბლიკური დათვალიერებისა და კონკურსის შედეგების მიხედვით, გათვალისწინებულია იმ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების, მოსამსახურეების პრემირებისათვის, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ გამომგონებლებისა და რაციონალიზატორული წინადადებების შემუშავებასა და დანერგვაში. რესპუბლიკური დათვალიერებისა და კონკურსის პერიოდში; აგრეთვე რაციონალიზაციისა და გამომგონებლის ბიუროს, საპატენტო ჭვეგანაყოფების, პროფკავშირული ორგანიზაციებისა და საბჭოთა კავშირის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების ორგანიზაციების აქტივისტთა პრემირებისათვის, რომლებმაც ხელი შეუწყეს დათვალიერებისა და კონკურსის წარმატებით მოწყობას, რაციონალიზატორული, საგამომგონებლო და საპატენტო-სალიცენზიო მუშაობის გაუქმობესებასა და ნაკისრ წინადადებათა დანერგვას.

მუშაკებისათვის პრემიების მინიჭება ხდება საწარმოთა და ორგანიზაციათა ადმინისტრაციის, პროფკავშირული კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების საბჭოს ერთობლივი გადაწყვეტილებით. (საქდესი).

საბჭოთა საქართველოს და საქართველოს კომპარტიის შექმნის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს სასახელო შრომითი მაჩვენებლებით ეგებება **ბუბული ბანიძე**. იგი მუშაობს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ერგნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში და თანასოფლელთა საყოველთაო სიყვარულით სარგებლობს. ბუბული ბანიძე მონაწილეობას იღებდა სკკპ XXIV ყრილობის მუშაობაში. სულ რამდენიმე კვირაა დაბრუნდა ყრილობის დელეგატი მშობლიურ სოფელში მაღალი ჯილდოთი. მას მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. ახლა იგი დილიდან ვვიან ღამემდე ტრაქტორს ჩასა პლანტაციებში და მალე შუდგება ჩაის ფოთლის კრეფას. მას ნახავთ ბრიგადებში, სკოლაში, კლუბში, რაიონის მეჩაიეთა შორის, სადაც კვლავ გრძელდება დიდი საუბარი პარტიის XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებზე, რომელთა განხორციელებისათვის დარაზმულია რაიონის ყველა მშრომელი. ამ სურათზე (შუაში) თქვენ ხედავთ **ბუბული ბანიძეს** თანასოფლელ მეჩაიეთა შორის.

ფოტო ნ. ანასტასიმეშისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

მოგილოცავთ, მეგობრებო!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებაში დიდი წარმატებებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭათ **ლენინის** ორდენი და ოქროს medali „ნამგალი და ჩაქუ“ გადაეცათ **ხარკინიგზონ**, **საზღვაო**, **სამდინარო** და **საავტომობილო ტრანსპორტის**, **კავშირგაბმულობისა** და **საგზაო მშენებლობის** საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშებსა და სპეციალისტებს, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი.

საქართველოს სს რესპუბლიკაში

ემნაძემ ვახტანგ რუბენის-ძეს — თბილისის № 1 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს შოფერს.

რობაქიძემ ბენედიქტე იპოლიტეს-ძეს — ქუთაისის კავშირგაბმულობის საექსპლოატაციო-ტექნიკური კვანძის მონტიორს.

ჩიტაძემ კარლო სპირიდონის-ძეს — ხაშურის ელექტრომომარაგების უბნის ელექტრომონტიორს.

აჭარის ასს რესპუბლიკაში

ოსაძემ კარონა თეოდის-ძეს — საქართველოს საზღვაო სანაოსნოს თბომავალ „ალექსეევკის“ ბოცმანს, ქალაქი ბათუმი.

ნოგათეგი სამშობლოს

● თბილისელმა მეტრიკოლოგიეებმა ოთხ თვეში გეგმის გადამეტებით მოახდინეს 240 ათასი მანეთის ნაწარმის რეალიზაცია. ● № 1 სამკერვალო ფაბრიკაში დაზოგილია 50 ათასი მანეთის ძსოვნილები.

თბილისი. სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის (დირექტორი ვ. ვამიციმლიძე) კოლექტივი წარმატებით იბრძვის მეცხრე ხუთწლიდის პირველი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის და ახალ შრომითს საჩუქრებს უმზადებს საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს. ფეიერებმა ოთხი თვის პროგრამა ვადამდე დაძლიეს, გეგმის ვადამეტებით გამოუშვეს 300 ათასი მანეთის პროდუქცია, დაამზადეს ახალი სახეობის ნაწარმი — სახაფხულო კოსტიუმები, სხვადასხვა ფასონისა და ფერის კაბები, ელეგანტური კოფტები, რომლებიც მომხმარებელთა დიდი მოწონებით სარგებლობენ.

ბაზაფხულისა და ზაფხულის სეზონში მომხმარებელი მიიღებს ხელოვნური აბრეშუმისა და კაპრონის ახალი მოდელის საცვლებს, ამოქარგული პენუარებს; ბავშვებისათვის აქ უშვებენ მრავალი სახის ტრიკოტაჟის ნაწარმს.

ექსპერიმენტალური კვარ ხარისხზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ოთხ თვეში რეალიზებულია 240 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკის (დირექტორი ნ. გვასარია) კოლექტივმა ახალი ძალით გააგრძელა სკკპ XXIV ყრილობის აღსანიშნავად დაწყებული სოციალისტური შეჯიბრება. მკერავები ახალ შრომითს საჩუქრებს უმზადებენ საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის ზეიმს. მკერავებმა ოთხი თვის პროდუქციის რეალიზაციის დავალებას 300 ათასი მანეთით გადააჭარბეს, მომხმარებელს გეგმის გადამეტებით 4.600 ცალი ქალის პალტო და 7.500 ქალისა და ბავშვის კაბა გაუგზავნეს. პირველ კვარტალში დაზოგეს 50 ათასი მანეთის სხვადასხვა მასალები, მოგების გეგმას 50 ათასი მანეთით გადააჭარბეს.

შრომის განსაკუთრებით მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ და მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას უშვებენ მე-4 და მე-5 სამკერვალო საამქროები, რომლებსაც გ. მახარაძე და დ. კაციტაძე ხელმძღვანელობენ. კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს ვ. ბოზაოლიშვილისა და შ. აბზიანიძის ბრიგადებმა.

თბილისის საჰაერო კარი

ქვეყნის ყველა კუთხიდან თბილისში ჩამოფრენილ მგზავრებს შეეძლებათ ღირსეულად შეიფასონ ის სიმსუბუქე და მოხდენილობა, რომელიც დამპროექტებლებმა ჩააქსოვეს თბილისის აეროვაგზლის ახალ შენობაში, რომლის საზეიმო გახსნა გაიმართა ოთხშაბათს, 5 მაისს.

აეროვაგზლის საზეიმო გახსნაზე შეიკრიბნენ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს მუშაკები, ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მშენებლები.

აეროპორტში ჩამოვიდნენ **ვ. პ. მეკვანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, ნ. შ. ცხაკაია, ო. ი. ლოლაშვილი,** სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის მინისტრი **ბ. პ. ბუგაევი,** რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ა. შ. ლაბახუა,** თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **შ. ე. ბუხრაშვილი,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე **ე. ვ. ღუდუშაური.**

ვ. პ. მეკვანაძემ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სახელით მხურვალედ მიულოცა მშენებლებს, ყველას, ვინც რესპუბლიკის იუბილეს მოუმზადა ეს შესანიშნავი საჩუქარი.

დგება საზეიმო წუთი. ვ. პ. მეკვანაძე ჭრის ლენტს. ახალი აეროვაგზალი გახსნილია.

ვ. პ. მეკვანაძემ, გ. დ. ჯავახიშვილმა, ნ. შ. ცხაკაიამ, ო. ი. ლოლაშვილმა, ბ. პ. ბუგაევმა დათვალიერეს ახალი შენობა, აეროვაგზლის სამსახურები და მაღალი შეფასება მისცეს მას. (საქდესი).

(თბილისის აეროვაგზლის ახალი შენობის შესახებ დაწვრილებით იხილეთ ჩვენი გაზეთის მეორე გვერდზე).

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად

5 მაისს გაიმართა საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი, რომელიც მიეძღვნა რესპუბლიკის მეცხოველეობის შემდგომ განვითარებას სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრმა **ბ. დუჩიძემ.**

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ ლაგოდეხის ყველკარაქის ქარხნის დირექტორი **ა. ხუციშვილი,** ბათუმის ხორცკომბინატის დირექტორი **დ. ლეკვეიშვილი,** ფოთის ხორცკომბინატის დირექტორი **შ. ცომაია,** დმანისის ყველკარაქის ქარხნის დირექტორი **მ. ცისელკოვი,** ბორჯომის ყველკარაქის ქარხნის დირექტორი **ზ. დანელია,** თიანეთის პირუტყვდამზადების კანტორის მმართველი **ნ. ხახამელი** და სხვები.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **შ. ჭანუყვაძემ.**

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ნ. ცხაკაია.**

თათბირის მონაწილეებმა მიიღეს დადგენილება რესპუბლიკის მეცხოველეობის შემდგომი განვითარების შესახებ. (საქდესი).

ეოსკოვს ჩამოვიდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი

საბჭოთა მთავრობის მოწვევით 4 მაისს მოსკოვში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა საფრანგეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი მორის შუმანი. (საკდესი).

ხალხის რჩეულნი

დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება გრძელდება

ნაშურის საფეიერო-საფალანტერიო ფაბრიკის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ნაშურის რაიონის № 103 რუსთაველის საარჩევნო ოლქში დასახელეს საქართველოს კომპარტიის ნაშურის რაიკომის პირველი მდივანი დმიტრი ალექსანდრეს-ძე ნოზაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბორჯომის რაიონის № 107 ბორჯომ-პარკის საარჩევნო ოლქში ბორჯომის კულტურტაბის გამგეობის საბჭოს მუშაკებმა დასახელეს საქართველოს კომპარტიის ბორჯომის რაიკომის პირველი მდივანი ბახსა ერმილეს-ძე ჯანხანიძე.

ახალციხის რაიონის აწყურის მერძეველობა-მებაღეობის საბჭოთა მეურნეობის აწყურის აგროუნივერსიტეტის კოლექტივმა თავის წინასაარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ახალციხის რაიონის № 113 აწყურის საარჩევნო ოლქში გადაწყვეტა დასახელოს საქართველოს კომპარტიის ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი შალვა ონისიმეს-ძე გრძელიშვილი.

ჯიმრთა ადიგენის რაიონის სოფელ უდის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა წინასაარჩევნო კრება, რომელმაც განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელების საკითხი. კრების მონაწილეებმა დაადგინეს, რომ თავიანთ წარმომადგენლად რესპუბლიკის პარლამენტში ადიგენის საარჩევნო ოლქიდან გაგზავნონ საქართველოს კომპარტიის ადიგენის რაიკომის პირველი მდივანი აბირან ზაქარიას-ძე ფაქვაბიშვილი.

„საქსოფლტექნიკის“ ბოლნისის რაიონული განყოფილების კოლექტივის წინასაარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბოლნისის რაიონის № 138 ბოლნისის საარჩევნო ოლქში დასახელეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი სერგი ვასილის-ძე დურგიშვილი.

მარნეულის რაიონის ბრალოს მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა და მოსამსახურეებმა წინასაარჩევნო კრებაზე მარნეულის რაიონის № 147 ფულადურის საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს საბჭოს მეურნეობის უსახელოს აგროუნივერსიტეტის კოლექტივმა.

ბოლნისის რაიონის ბაზალეთის ფიათურის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებმა და მოსამსახურეებმა ფიათურის მანგანუმის ტრესტის მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის უსახელოს აგროუნივერსიტეტის კოლექტივმა დასახელა საქართველოს კომპარტიის ფიათურის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ალექსანდრე სილიბინის-ძე აბესაძე.

თერჯოლის საშუალო სკოლის კოლექტივის კრებაზე მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თერჯოლის რაიონის № 224 თერჯოლის საარჩევნო ოლქში დასახელეს საქართველოს სსრ პროკურორი აბრამ ერმილეს-ძე ტაკიძე.

ქუთაისის № 4 საშკერავლო ფაბრიკის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა, განიხილეს რა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელების საკითხი, რომ თავიანთ წარმომადგენლად რესპუბლიკის პარლამენტში ადიგენის საარჩევნო ოლქიდან გაგზავნონ საქართველოს კომპარტიის ადიგენის რაიკომის პირველი მდივანი აბირან ზაქარიას-ძე ფაქვაბიშვილი.

„საქსოფლტექნიკის“ ბოლნისის რაიონული განყოფილების კოლექტივის წინასაარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბოლნისის რაიონის № 138 ბოლნისის საარჩევნო ოლქში დასახელეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი სერგი ვასილის-ძე დურგიშვილი.

ბორჯომის რაიონის ბაკურიანის საბჭოთა მეურნეობის აწყურის აგროუნივერსიტეტის კოლექტივმა თავის წინასაარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბორჯომის რაიონის № 147 ფულადურის საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბაზალეთის საარჩევნო ოლქში დასახელეს საქართველოს სსრ პროკურორი აბრამ ერმილეს-ძე ტაკიძე.

ქუთაისის № 4 საშკერავლო ფაბრიკის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა, განიხილეს რა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელების საკითხი, რომ თავიანთ წარმომადგენლად რესპუბლიკის პარლამენტში ქალაქ ქუთაისის № 231 ლენინის საარჩევნო ოლქიდან გაგზავნონ საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი სერგი სილვესტრის-ძე სიხარულიძე.

დიდძალი ხალხი დაესწრო ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო მრეწველობის ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებას, რომელმაც განიხილა ქალაქ ქუთაისის № 232 თბილისის საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელების საკითხი. ქუთაისელმა ავტომობილმშენებლებმა თავიანთ დეპუტატობის კანდიდატად ამ ოლქში დასახელეს საწარმოს დირექტორი ვასტანგ ივანეს-ძე ხარებავა.

ქუთაისის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის მუშა მაგული გიორგის ასული ჩაკვეტაძე დასახელეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ ქუთაისის № 238 წულუკიძის საარჩევნო ოლქში ამ საწარმოს მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებაზე.

საკოლმეურნეო წარმოების სახელმოხვეჭილი ორგანიზატორი შალვა ლეჟავა-ძე ჩაკვეხიძე დასახელეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ფოთის რაიონის № 243 მაღლაკის საარჩევნო ოლქში წყალტუბოს რაიონის სოფელ გვიშტების ახალ მარჯის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებაზე.

სოფელ ორპირის კოლმეურნეობის მეჩაიე ციცინა მიხეილის ასული გიორგაძე დასახელეს თანასოფელელებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ ტყიბულის № 250 ორპირის საარჩევნო ოლქში.

გიამრთა ონის რაიონის სოფელ ფამქვის კოლმეურნეობის წევრთა წინასაარჩევნო კრება, რომელმაც განიხილა ონის რაიონის № 255 ხორის საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელების საკითხი. კრების მონაწილეებმა დაადგინეს: დეპუტატობის კანდიდატად ამ ოლქში დასახელონ კოლმეურნეობის მოწინავე მწველადი ილარიონის ასული კალმახელიძე.

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის პირველი მდივანი მიხეილ ჭიჭიკოს-ძე გვიშიანი დასახელეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ცაგერის რაიონის № 258 ალპანის საარჩევნო ოლქში ცაგერის რაიონის სოფელ ალპანის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებაზე.

გიამრთა წულუკიძის აბრეშუმის ძაფსალებ-საარხები ფაბრიკის კოლექტივის წინასაარჩევნო კრება, რომელზეც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წულუკიძის რაიონის № 260 წულუკიძის საარჩევნო ოლქში დასახელეს ამ საწარმოს მოწინავე მუშა ადელი ივანეს ასული კაკაბაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სამტრედიის რაიონის № 266 დიდი ჯიხაიშის საარჩევნო ოლქში ბაშის მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ დასახელა საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის მინისტრი შოთა ანდრიას-ძე დოლიძე.

საქართველოს კომპარტიის მაიაკოვსკის რაიკომის პირველი მდივანი შოთა ამბროსის-ძე კოხოძე დასახელეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მაიაკოვსკის რაიონის № 275 ფოთლხევის საარჩევნო ოლქში ვარცეხის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე.

ლანჩხუთის რაიონის სოფელ აცანის კოლმეურნეობის წევრთა წინასაარჩევნო კრებაზე გადაწყვიტეს თავიანთ წარმომადგენლად რესპუბლიკის უმაღლეს ორგანოში ხელისუფლების ორგანოში ლანჩხუთის რაიონის № 280 აცანის საარჩევნო ოლქისაგან გაგზავნონ საქართველოს კომპარტიის ლანჩხუთის რაიკომის პირველი მდივანი დავით სარიტონის-ძე საბაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელებისადმი მიძღვნილი წინასაარჩევნო კრება გიამრთა მახარაძის რაიონის სოფელ მერიის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში. კრებამ დადგინა: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ზესტაფონის რაიონის № 211 ძირულის საარჩევნო ოლქში საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანი შოთა ამბროსის-ძე ჯოხაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ ჭიათურის № 216 ნიგოზეთის საარჩევნო ოლქში ჭიათურის მანგანუმის ტრესტის მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის უსახელოს აგროუნივერსიტეტის კოლექტივმა დასახელა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ბესიკ ერმილეს-ძე ჯანხანიძე.

ახალციხის რაიონის აწყურის მერძეველობა-მებაღეობის საბჭოთა მეურნეობის აწყურის აგროუნივერსიტეტის კოლექტივმა თავის წინასაარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ახალციხის რაიონის № 113 აწყურის საარჩევნო ოლქში გადაწყვიტა დასახელოს საქართველოს კომპარტიის ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი შალვა ონისიმეს-ძე გრძელიშვილი.

ჯიმრთა ადიგენის რაიონის სოფელ უდის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა წინასაარჩევნო კრება, რომელმაც განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ადასახელების საკითხი. კრების მონაწილეებმა დადგინეს, რომ თავიანთ წარმომადგენლად რესპუბლიკის პარლამენტში ადიგენის საარჩევნო ოლქიდან № 115 ადიგენის საარჩევნო ოლქიდან გაგზავნონ საქართველოს კომპარტიის ადიგენის რაიკომის პირველი მდივანი აბირან ზაქარიას-ძე ფაქვაბიშვილი.

„საქსოფლტექნიკის“ ბოლნისის რაიონული განყოფილების კოლექტივის წინასაარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბოლნისის რაიონის № 138 ბოლნისის საარჩევნო ოლქში დასახელეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი სერგი ვასილის-ძე დურგიშვილი.

მარნეულის რაიონის ბრალოს მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა და მოსამსახურეებმა წინასაარჩევნო კრებაზე მარნეულის რაიონის № 147 ფულადურის საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს საბჭოთა მეურნეობის მუშა ბესიკ ერმილეს-ძე ჯანხანიძე.

რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის კოლექტივის წინასაარჩევნო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ რუსთავის № 155 ქიმიკოსთა საარჩევნო ოლქში დასახელონ საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ზურაბ აბესალომის-ძე ჩხეიძე.

საქართველოს კომპარტიის დუშეთის რაიკომის პირველი მდივანი პეტრე ივანეს-ძე შალდური საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დუშეთის რაიონის № 159 ბაზალეთის საარჩევნო ოლქში დასახელეს დუშეთის რაიონის სოფელ ბაზალეთის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებაზე.

გურჯაანის რაიონის სოფელ შაშიანის კოლმეურნეობის წევრებმა წინასაარჩევნო კრებაზე დადგინეს, რომ თავიანთ წარმომადგენლად რესპუბლიკის პარლამენტში გურჯაანის რაიონის № 165 შაშიანის საარჩევნო ოლქიდან გაგზავნონ ამ კოლმეურნეობის მოწინავე მეფრინველე მარიამ გიორგის ასული ზიდალური.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსი ფიროზი ნიკოლოზის-ძე ბარიძეშვილი დასახელეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თელავის რაიონის № 194 ნადიკვრის საარჩევნო ოლქში „საქსოფლტექნიკის“ თელავის რაიონული განყოფილების კოლექტივის საერთო კრებაზე.

გიამრთა ახმეტის ხისდამამუშავებელი კომბინატის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრება, რომელმაც განიხილა ახმეტის რაიონის № 199 ახმეტის საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელების საკითხი. დეპუტატობის კანდიდატად ამ ოლქში დასახელეს კომბინატის მოწინავე მეჩარხე დილარი ფირუზის ასული ფილავეი.

მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის მუშა ციცინო ვლადიმერის ასული მაღრაძე დასახელეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ორჯონიკიძის № 204 მოლიოის საარჩევნო ოლქში ამ საწარმოს კოლექტივის საერთო კრებაზე.

დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება გრძელდება

ძირულის ცეცხლგამძლე ნაკეთობათა ქარხნის კოლექტივის წინასაარჩევნო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება დასახელონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ზესტაფონის რაიონის № 211 ძირულის საარჩევნო ოლქში საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანი შოთა ამბროსის-ძე ჯოხაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ ჭიათურის № 216 ნიგოზეთის საარჩევნო ოლქში ჭიათურის მანგანუმის ტრესტის მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის უსახელოს აგროუნივერსიტეტის კოლექტივმა დასახელა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ბესიკ ერმილეს-ძე ჯანხანიძე.

ახალციხის რაიონის აწყურის მერძეველობა-მებაღეობის საბჭოთა მეურნეობის აწყურის აგროუნივერსიტეტის კოლექტივმა თავის წინასაარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ახალციხის რაიონის № 113 აწყურის საარჩევნო ოლქში გადაწყვეტა დასახელოს საქართველოს კომპარტიის ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი შალვა ონისიმეს-ძე გრძელიშვილი.

ჯიმრთა ადიგენის რაიონის სოფელ უდის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა წინასაარჩევნო კრება, რომელმაც განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელების საკითხი. კრების მონაწილეებმა დადგინეს, რომ თავიანთ წარმომადგენლად რესპუბლიკის პარლამენტში ადიგენის საარჩევნო ოლქიდან № 115 ადიგენის საარჩევნო ოლქიდან გაგზავნონ საქართველოს კომპარტიის ადიგენის რაიკომის პირველი მდივანი აბირან ზაქარიას-ძე ფაქვაბიშვილი.

„საქსოფლტექნიკის“ ბოლნისის რაიონული განყოფილების კოლექტივის წინასაარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბოლნისის რაიონის № 138 ბოლნისის საარჩევნო ოლქში დასახელეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი სერგი ვასილის-ძე დურგიშვილი.

მარნეულის რაიონის ბრალოს მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა და მოსამსახურეებმა წინასაარჩევნო კრებაზე მარნეულის რაიონის № 147 ფულადურის საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს საბჭოთა მეურნეობის უსახელოს აგროუნივერსიტეტის კოლექტივმა.

ბოლნისის რაიონის ბაზალეთის ფიათურის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა და მოსამსახურეებმა ფიათურის მანგანუმის ტრესტის მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის უსახელოს აგროუნივერსიტეტის კოლექტივმა დასახელა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ბესიკ ერმილეს-ძე ჯანხანიძე.

ონის რაიონის სოფელ ფამქვის კოლმეურნეობის წევრთა წინასაარჩევნო კრება, რომელმაც განიხილა ონის რაიონის № 255 ხორის საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელების საკითხი. კრების მონაწილეებმა დადგინეს: დეპუტატობის კანდიდატად ამ ოლქში დასახელონ კოლმეურნეობის მოწინავე მწველადი ილარიონის ასული კალმახელიძე.

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის პირველი მდივანი მიხეილ ჭიჭიკოს-ძე გვიშიანი დასახელეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ცაგერის რაიონის № 258 ალპანის საარჩევნო ოლქში ცაგერის რაიონის სოფელ ალპანის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებაზე.

გიამრთა წულუკიძის აბრეშუმის ძაფსალებ-საარხები ფაბრიკის კოლექტივის წინასაარჩევნო კრება, რომელზეც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წულუკიძის რაიონის № 260 წულუკიძის საარჩევნო ოლქში დასახელეს ამ საწარმოს მოწინავე მუშა ადელი ივანეს ასული კაკაბაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სამტრედიის რაიონის № 266 დიდი ჯიხაიშის საარჩევნო ოლქში ბაშის მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ დასახელა საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის მინისტრი შოთა ანდრიას-ძე დოლიძე.

საქართველოს კომპარტიის მაიაკოვსკის რაიკომის პირველი მდივანი შოთა ამბროსის-ძე კოხოძე დასახელეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მაიაკოვსკის რაიონის № 275 ფოთლხევის საარჩევნო ოლქში ვარცეხის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე.

ლანჩხუთის რაიონის სოფელ აცანის კოლმეურნეობის წევრთა წინასაარჩევნო კრებაზე გადაწყვიტეს თავიანთ წარმომადგენლად რესპუბლიკის უმაღლეს ორგანოში ლანჩხუთის რაიონის № 280 აცანის საარჩევნო ოლქისაგან გაგზავნონ საქართველოს კომპარტიის ლანჩხუთის რაიკომის პირველი მდივანი დავით სარიტონის-ძე საბაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელებისადმი მიძღვნილი წინასაარჩევნო კრება გიამრთა მახარაძის რაიონის სოფელ მერიის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში. კრებამ დადგინა: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ზესტაფონის რაიონის № 211 ძირულის საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი ვასილის-ძე სხირტლაძე.

ბახმარაძის რაიონის სოფელ შიოლედის კოლმეურნეობის წევრებმა წინასაარჩევნო კრებაზე გადაწყვიტეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მახარაძის რაიონის № 288 შიოლედის საარჩევნო ოლქში დასახელონ საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე თოლიძე.

ხალხმრავალი წინასაარჩევნო კრება გიამრთა ფოთის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურში. ფოთელმა მენავსადგურეებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ ფოთის № 325 ნავსადგურის საარჩევნო ოლქში დასახელეს საბჭოთა კავშირის გმირი თეოდორე მაჭარაძის-ძე ჯახალიშვილი.

სოხუმის ხელსაწყოს ქარხნის ზეინკალთა ბრიგადირი რიდიკო პიმონის-ძე ბაბელია დასახელეს ამ საწარმოს კოლექტივმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ სოხუმის № 330 ჭაჭავაძის საარჩევნო ოლქში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ ბათუმის № 372 ფრუნზეს საარჩევნო ოლქში დასახელებულია სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროს საქართველოს საზღვაო სანაოსნოს სამმართველოს უფროსი ანატოლი ალექსის-ძე კაჭარავა. მისი კანდიდატურა დასახელეს ამ სამმართველოს კოლექტივის წინასაარჩევნო კრებაზე.

გიამრთა ცხინვალის ქარხანა „ემალსადენის“ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრება. კრების მონაწილეებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ ცხინვალის № 392 ლენინის საარჩევნო ოლქში დასახელეს საქართველოს კომპარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ქასპოლ ალექსანდრეს-ძე ბაზაევი.

ხალხმრავალი წინასაარჩევნო კრება გიამრთა თბილისის სარეკონსტრუქციო კომბინატში. საწარმოს კოლექტივმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის № 11 ლენინის საარჩევნო ოლქში დასახელა საწარმოს მოწინავე მრთველი მზიანა მიხეილის ასული არამანაშვილი.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი რეჟისორი საქართველოს სსრ სახალხო არტისტი დიმიტრი ალექსანდრეს-ძე ალექსინმ თეატრის კოლექტივის წინასაარჩევნო კრებაზე დასახელებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის № 14 მარჯანიშვილის საარჩევნო ოლქში.

გიამრთა თბილისის ტელეგრაფის აპარატურის ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებაზე გადაწყვიტეს რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის № 58 შაუმიანის საარჩევნო ოლქში დასახელონ არმაის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე მელადიმერ ნიკოლოზის-ძე ჯანჯღავა.

თბილისის „მიკროძრავის“ ქარხნის მოწინავე მუშა ლიდია ნიკოლოზის ასული კოლესნიკი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის № 63 ი. ჭავჭავაძის საარჩევნო ოლქში დასახელა „მიკროძრავის“ ქარხნის კოლექტივის წინასაარჩევნო კრებამ.

გარდაბნის რაიონის მარტყოფის მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა და მოსამსახურეებმა, რომლებიც შეიკრიბნენ წინასაარჩევნო კრებაზე, მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში თავიანთ წარმომადგენლად გაგზავნონ საქართველოს კომპარტიის გარდაბნის რაიკომის პირველი მდივანი ალექსი სიმონის-ძე გეფაური გარდაბნის რაიონის № 71 მარტყოფის საარჩევნო ოლქისაგან.

გარდაბნის რაიონის № 77 გარდაბნის საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია გარდაბნის მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მუშა სამაია კაბედ ფხე გუსეინოვა. მისი კანდიდატურა დასახელეს გარდაბნის მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის წინასაარჩევნო კრებაზე.

კასპის რაიონის სოფელ დოესის კოლმეურნეობის წევრებმა წინასაარჩევნო კრებაზე დადგინეს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში კასპის რაიონის № 86 ყარაჯოჯის საარჩევნო ოლქისაგან თავიანთ წარმომადგენლად გაგზავნონ ამ კოლმეურნეობის მერგოლური მარიამ გაბრინას ასული ხოროგუაშვილი.

გიამრთა ჯორის დამბეგელის კომბინატის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრება, რომელმაც განიხილა საკითხი ქალაქ ჯორის № 96 შვიდობის საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელების შესახებ. ჯორელმა ფეიერებმა გადაწყვიტეს რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში თავიანთ წარმომადგენლად დასახელონ საწარმოს დირექტორი ნაუმ ვასილის-ძე ბოჭორიშვილი.

ხაშურის რაიონის და სურამის კოლმეურნეობაში გამართულ წინასაარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ხაშურის რაიონის № 104 სურამის საარჩევნო ოლქში თანასოფლელებმა დასახელეს მოწინავე კოლმეურნე ციალა შალვას ასული ბლიაძე. (საქდესი).

საბჭოთა პრესის დღის ალსანიშნავად

დიდი ეროვნული დღესასწაული — საბჭოთა საქართველოსა და რესპუბლიკის კომპარტიის 50 წლისთავის წინ — აღნიშნავენ წელს რესპუბლიკის პრესის მუშაკები ბეჭდვითი სიტყვის ტრადიციულ დღეს.

5 მაისს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მცირე დარბაზში გიამრთა საბჭოთა პრესის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა, რომელიც მოაწყეს საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტმა, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობამ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა.

საღამო გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანმა ი. შევარდნაძემ.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, რესპუბლიკური გაზეთის „კომუნისტის“ რედაქტორმა დ. შენდელიშვილმა ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის სახელით გულთბილად მიულოცა პრესის ყველა მუშაკს ბეჭდვითი სიტყვის დღე და უსურვა წარმატებანი კეთილშობილურ და სანატიო შრომაში. მან ილაპარაკა რესპუბლიკის ჟურნალისტთა დიდ ამოცანებზე სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდაში, ჩვენი პარტიის მიერ დასახული დიადი პროგრამის განხორციელებაში.

მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ბარამიძემ, თბილისის „კომკავშირის“ კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ მუშამ, სოციალისტური შრომის გმირმა ვ. ქმ

შვილმა, საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. ფოფხაძემ, გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ რედაქტორმა პ. ალტუნინმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა ნ. სინჯაკაშვილმა.

საღამოს დაესწრო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე დ. გოგოხია.

საზეიმო სხდომის შემდეგ გიამრთა კონცერტი. (საქდესი).

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის პრემიები

ბევდვითი სიტყვის დღის წინ შეეკამეს შედეგები ტრადიციული ყოველწლიური კონკურსისა 1970 წლის საუკეთესო ნამუშევრებისათვის სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის პრემიების მოსაპოვებლად.

პრემიები მიენიჭათ გაზეთ „დრუჟნეი რებიატას“ (ალმა-ატა) კორესპონდენტს ს. ასკაროვს გაზეთებში „დრუჟნეი რებიატა“ და „ლენინსკაია სმენა“ გამოქვეყნებული ნარკვევებისათვის, საბჭოთა კავშირის გმირის ა. მოლდაგულოვასა და გენ მურატბაევის ცხოვრებისა და გმირობის შესახებ; ჯალალაბადის რაიონული გაზეთის „თახლჩის“ (ეზერბაიჯანი) რედაქტორს ალვასტა ატაბაევს ოქლი ბაშიროვს ხატირული შენაშენებისათვის; ლიტვის ტელევიზიის უფროს რედაქტორს პ. ბაგდონავიჩიუსსა და რეჟისორ ბ. დაუბუიტეტს— ტელეგადაცემებისათვის „პეტროიანტების ოჯახში“; ფოტოკორესპონდენტს ვ. ი. ბოროდინს გაზეთ „ვორკოვსკაია პრავდაში“ გამოქვეყნებული ფოტოსურათების სერიისათვის „კომუნისტები“; ჟურნალ „კიპერუშის“ (მოლდავეთი) მთავარ მხატვარს ს. ა. ბრაბაროს — ჟურნალებში „კიპერუშსა“ და „კოროკოლში“ გამოქვეყნებული კარიკატურებისათვის; ფელეტონისტს ბ. ა. ეგოროვს — „ლიტერატურნაია გაზეტაში“ გამოქვეყნებული ფელეტონებისათვის; „კომსომოლსკაია პრავდის“ სპეციალურ კორესპონდენტს ი. ი. ზიუზიუკინს — გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდაში“ გამოქვეყნებული ნარკვევების სერიისათვის „ვცნობ ადამიანს“; გაზეთ „პრავდის“ სპეციალურ კორესპონდენტს ო. ა. იგნატიევს — გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნებული რეპორტაჟებისათვის „ჯუნგლი იწვის“, „ზამბეზის დასავლეთით“, „ა ვიტორია ე სერტა“ და „პორტუგალიელთა პატრული“.

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის პრემიის ლაურეატთა შორის არიან გაზეთ „იზვესტიის“ სპეციალური კორესპონდენტი ს. ბ. ბორუზოვი — უკიდურეს ჩრდილოეთზე პუბლიცისტური ნარკვევების ავტორი; მიჩურინის რაიონული გაზეთის „ზნამია ოქტიაბრიას“ რედაქტორი ბ. კ. პაპნოვი —

მსოფლიო დღეს

ფაქტები

● პარიზის პრესა აღნიშნავს, თუ რა მნიშვნელობა აქვს საგარეო საქმეთა მინისტრის მორის შუმანის ვიზიტს მოსკოვში, მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას. გაზეთი „ნახიონი“ წერს, რომ „საბჭოთა კავშირთან დიალოგი ერთ-ერთი საფუძველია საფრანგეთის პოლიტიკისა, რომელიც მიზნად ისახავს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას“.

● ლიბერიაში გამართული პრეზიდენტის არჩევნების შედეგად ქვეყნის პრეზიდენტად ახალი ოთხი წლის ვადით აირჩიეს უილიამ ტუბმენი. ვიცე-პრეზიდენტად კვლავ აირჩიეს უილიამ ტოლბერტი.

● ქაიროში ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი უ. როჯერსი, რომელიც ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობს. როჯერსისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან შეხვედრის დროს განიხილავენ ახლო აღმოსავლეთში შექმნილ მდგომარეობას.

● ინგლისელ პარლამენტართა ჯგუფმა ლორდ ბროკუეის მეთაურობით მთავრობას მოთხოვა გაიყვანოს ოლსტერიდან ბრიტანეთის მთელი შეიარაღებული ძალები და უარი თქვას სამხედრო ძალის საშუალებით ოლსტერის პრობლემის გადაჭრის ცდებზე.

● ვარშავის სამხედრო ოლქის სასამართლომ დაიწყო პოლონელი მოქალაქის ადამ თეოფილე მოულერის საქმის გარჩევა, რომელიც ამ ბოლო დროს აშშ-ი ცხოვრობდა. 1958 წლის შუა ხანებში იგი გაიქცა დასავლეთ ბერლინში, სადაც დაამყარა კონტაქტები დასავლეთის სახელმწიფოთა საგადაზვერვო ცენტრებთან და გადასცა ეკონომიური და თავდაცვითი მონაცემები პოლონეთის შესახებ, რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოს შეადგენდნენ. გასული წლის ოქტომბერში პოლონეთში ყოფნის დროს მოულერი დაუპატიმრეს და გამოძიების მასალების საფუძველზე.

საკდესი-შრანსპრესი

გაქცეული დაკაკვეს

ნიუ-იორკი, 5 მაისი. (საკდესი). ჯეიმს რეი, რომელსაც 99 წლის პატიმრობა მიესაჯა მარტინ ლუთერ კინგის მოკვლისათვის, შეეცადა გაქცეულიყო ტენესის შტატის საპატიმროდან. მკვლელი ორი წელიწადია ემზადებოდა გასაქცევად.

ხვეწისა და დანის გამომოყენებით მან გახვრიტა თავისი ცალკე საკნის კედელი და საკანტიზაციო სისტემის ხვრელიდან გამოვიდა საპყრობილის ეზოში. მხოლოდ შემთხვევით ვერ მიაყვანა რეიმ თავისი გეგმა ბოლომდე: საპყრობილის კედელი რომ გაიარა, იგი მოხვდა... საქვაბეში, სადაც ძალიან მაღალი ტემპერატურა იყო, შემდეგ მან ვერ შესძლო მოძრაობა და იქვე დაკავეს.

ახლა იგი მოთავსებულია მკაცრ საპატიმრო საკანში. სანამ გაქცევას შეეცდებოდა, რეი ჰყავდათ „უფრო ნაკლები სიმკაცრის საკანში“, ვინაიდან იგი „სანმეურად იქცეოდა“ საპყრობილეში.

ნიუ-იორკი

კოლონიალიზმის, რასიზმის, აპარტეიდის ლიკვიდაციისათვის

5 მაისი. (საკდესი). აფრიკის სამხრეთ ნაწილში კოლონიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციას ეძღვნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების დეკლარაციის განმახორციელებელი სპეციალური კომიტეტის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობის აპარტეიდის პოლიტიკის სპეციალური კომიტეტისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნამიბიის (სამხრეთ-დასავლეთი აფრიკა) საბჭოს გაერთიანებული სესია, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაიხსნა.

სესიის გახსნაზე სიტყვა წარმოთქვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ ტანმა, რომელმაც მკაცრად გააკრიტიკა პორტუგალიის, სამხრეთ აფრიკის, როდეზიისა და მათი მფარველების კოლონიზატორული და რასისტული პოლიტიკა.

საბჭოთა კავშირი მთლიანად უჭერს მხარს და განუხრელად ასრულებს გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს, რომლებიც სამხრეთ აფრიკის პრობლემებს ეხება, განაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენელმა ი. ა. მალიკმა.

ი. ა. მალიკმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სსრ კავშირის პოზიცია დეკოლონიზაციის პრობლემებში ძირეულად განსხვავდება იმპერიალისტური ქვეყნების პოზიციისაგან, რომლებიც აბრკოლებენ ამ პროცესს და მხარს უჭერენ რასისტულ და კოლონიურ რეჟიმებს.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მაღალი იდეალებისა და მიზნებისაგან განდგომა უწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკოლონიალიზაციის კომიტეტიდან ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის გასვლას.

ი. ა. მალიკმა აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სამი ორგანოს გაერთიანებული სესია, რომლებიც სამხრეთ აფრიკაში კოლონიალიზმისა და რასიზმის ლიკვიდაციის პრობლემებს იხილავენ, ხელს შეუწყობს კოლონიალიზმის, რასიზმისა და აპარტეიდის ლიკვიდაციის დაჩქარებას.

ტოკიო

საარჩევნო მაკინაციები

5 მაისი. (საკდესი). იაპონიის ქალაქ აძიგასავაში (აომორის პრეფექტურა) ამასწინანდელი არჩევნების შემდეგ მერის პოსტზე აღმოჩნდა ორი პრეტენდენტი. ეს კუროოზა მოხდა იაპონიის მმართველი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის საარჩევნო კამპანიის დროს მაკინაციების გამო.

სკანდალი მოხდა მაშინ, როცა იასუძი სუძუკიმ — დამოუკიდებელმა კანდიდატმა, რომელმაც 478 ხმით ნაკლები მიიღო, ვიდრე ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის კანდიდატმა სეიძირო ნაკამურამ, განაცხადა, რომ ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის კანდიდატისთვის მიეცემოდა 500-ზე მეტი საარჩევნო ბიულეტენი ხელმოწერილია ერთი და იგივე ხელით.

საარჩევნო კომისიამ შეამოწმა ეს და დაადგინა, რომ ნაკამურისათვის მიცემულ ბიულეტენებს შორის 860 ყალბია, მათ შორის 593-ს ხელს აწერს ერთი და იგივე კაცი. კომისიამ დაამტკიცა დამოუკიდებელი კანდიდატის სუძუკის არჩევა.

ალმოაჩინეს ეთოქმელება

მოგადიშო, 5 მაისი. (საკდესი). სომალის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ აღმოაჩინეს შეთქმულება, რომლის მიზანი იყო უმაღლესი რევოლუციური საბჭოს დაშბობა.

რაკვალკინდი

მდგომარეობა აღმოსავლეთ პაკისტანში

5 მაისი. (საკდესი). პაკისტანის რადიო იუწყება, რომ მთავრობის ჯარებმა ხელთ იგდეს სასაზღვრო ქალაქი რამ გარჩი და პრაქტიკულად კონტროლს უწევენ აღმოსავლეთ პაკისტანის ყველა რაიონს.

ამავე დროს რადიოს ცნობით, პაკისტანმა პროტესტი განუცხადა ინდოეთს ინდოელთა შეიარაღებული პერსონალის მიერ „აღმოსავლეთ პაკისტანის ტერიტორიის დარღვევისათვის“ დაკავშირებით. ნოტაში, რომელიც გადაეცა ინდოეთის უმაღლეს კომისარს ისლამაბადში, ნათქვამია, რომ „უკანასკნელი კვირის განმავლობაში „იყო სამი დარღვევა აღმოსავლეთ პაკისტანის დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ სექტორებში“ დინაპურისა და ჯესორის ოლქებში.

დელი. 5 მაისი. (საკდესი). ინდოეთის საინფორმაციო სამსახური იმოწმებს ინდოეთის ოფიციალურ წრეებს და იუწყება, რომ პაკისტანის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითფრინავები კვლავ არღვევენ ინდოეთის საჰაერო სივრცეს და რომ პაკისტანის არმია ტეცხლს უშენს ინდოეთის სასაზღვრო სოფლებს.

ქართული კულტურის მოღვაწენი — ავსტრიაში

ვენა, 5 მაისი. საქართველოს სს რესპუბლიკის დელეგაციამ, რომელიც ტიროლში იმყოფებოდა ავსტრია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების მოწვევით, დაათვალიერა ვინერნი.

დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი პროფესორი გ. ჯიბლაძე, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე ა. ელენტი, პოეტი და ჟურნალისტი რ. მარგიანი, გაეცნო ავსტრიის საწარმოებსა და სასწავლებლებს ტიროლში, დათვალიერა ინსბრუკის, ზალცბურგისა და ვენის ღირსშესანიშნაობანი, აგრეთვე შეხვდა ავსტრიის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს.

დელეგაციის მოგზაურობის შედეგად საფუძველი ჩაეყარა ტიროლსა და საქართველოს სს რესპუბლიკას შორის კულტურული თანამშრომლობის თაობაზე შეთანხმებათა შემუშავებას.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში დელეგაციის ხელმძღვანელმა პროფესორმა გ. ჯიბლაძემ განაცხადა, რომ ქართველ კულტურის მოღვაწეთა ჯგუფის ვიზიტი ტიროლში ნაყოფიერი იყო. ვიზიტის დროს ჯგუფნდა ბევრი საინტერესო შეხვედრა და საუბარი ავსტრიის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან.

ეს იყო მეგობრობის მისია, ხაზგასმით აღნიშნა საბჭოთა მეცნიერმა. ა. ელენტმა თქვა, რომ დელეგაციის წევრებთან საუბრებში ავსტრიელმა კოლეგებმა მაღალი შეფასება მისცეს დამყარებულ კავშირურთიერთობებს, რომელიც ხელს უწყობს ავსტრიისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის ურთიერთგაგების გაუმჯობესებას. (საკდესი).

კოლომბო

ვითარება ცეილონზე

5 მაისი. (საკდესი). ცეილონის მთავრობის მიერ გამოცხადებული ამნისტიის სამი დღის განმავლობაში (1-დან 4 მაისამდე), რომელსაც ვადა გაუდის დღეს 16.00 ადგილობრივი დროით, ხელისუფლებს დანებდა 1.784 მეამბოხე.

აქ მიღებული ცნობებით, კუნძულის ბევრ ადგილას ჯუნგლებში ჩასაფრებული მეამბოხენი კვლავ ესხმიან თავს ჯარისა და პოლიციის ქვეგანაყოფებს.

ოფიციალურ კომუნიკეში ნათქვამია, რომ ცეილონის მთელ რიგ რაიონებში მოხდა შეტაკებები მეამბოხეებთან. ანურადჰაპურის რაიონში გუშინ მეამბოხეებს დაუხოცეს 40 კაცი.

მეამბოხეებისაგან განთავისუფლებულ რაიონებში ცხოვრება თანდათან ნორმალურ კალაპოტში დგება.

ბუნება და ადამიანები

სოკოტრასთან შუადღისას მივფრინდით... მისი მთები ღრუბლებში იყო გახვეული, ნაპირებს კი ღელვისაგან დატოვებული ამღვრეული ქაფის სითეთრე გასდევდა ზოლად. შტორმები და მუსონური ქარები კუნძულის კლდოვან ნაპირებს მაისიდან ოქტომბრამდე ნოსონობისათვის მიუწვდომელს ხდიან. ზღვით სხვა თვეებშიც ძნელია აქ მოხვედრა. ჩვენს სუკუნეში ამგვარი მოგზაურობა პაერით სჯობს, მაგრამ თვითმფრინავები ეშვიათად თუ შემოფრინდებიან აქ, რადგან რეგულარული ავიახაზი მატერიკთან ჯერ კიდევ არ არის...

მიწის ეს ნაგლეჯი, რომელიც ოკეანეშია მიგდებული ადენიდან აღმოსავლეთით 800 კილომეტრზე, ჯერ კიდევ უძველეს დროში იყო ცნობილი. ადამიანები შტორმებს სძლევდნენ და პრიმიტიული იალქნიანი ნავებით აღწევდნენ კუნძულამდე. ხალხმა რატომღაც „განცხრომის კუნძული“ შეარქვა ამ მიწას. სწორედ ასე ითარგმნება სანსკრიტიდან მისი სახელწოდება — სოკოტრა.

სოკოტრა განცალკევებული და განსაკვირებელი სამყაროა. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ოდესღაც იგი აფრიკასთან იყო შეერთებული, მაგრამ შემდეგ ტექტონიკური აქტივობის წყალობით ოკეანეში აღმოჩნდა.

სოკოტრა — კუნძული ოკეანეში

შენიშვნა, მაგრამ ფაქტია, რომ დღესაც არსებობს ჩვენს პლანეტაზე ადგილები, რომლებიც მოწყვეტილი არიან ცივილიზაციას, კულტურას... სწორედ ასეთ მივიწყებულ კუნძულზე მოგვითხრობს ეს კორესპონდენცია... კიდევ მრავალი სიძნელის გადალახვა მოუხდებათ კუნძულელებს, ვიდრე თავს დაადწევდნენ კოლონიურ მემკვიდრეობას.

კუნძულის საოცრებათა შორის შეიძლება დავასახელოთ „ურჩხულის სისხლის ხე“. იგი სიმაღლით ათ მეტრამდეა და უზარმაზარ ქოლგას წაავავს თავისი ფორმით. ხე გამოჰყოფს წითელი ფერის წებოვან სუბსტანციას. სწორედ ამიტომ უწოდებენ მას „ურჩხულის სისხლის ხეს“. კუნძულის მცხოვრებნი მას იყენებენ თიხის ქოთნების გასალამაზებლად და სისხლისდენის შესაჩერებლად. სოკოტრაზე მრავალი თავისებური ხე იზრდება, რომლებიც წებოვან სითხეს გამოჰყოფენ. ადგილობრივი ფლორის იშვიათი ნიმუშებია მაღლა მთებში. იქ შეიძლება შეხვდეთ ისეთ მცენარეებს, როგორიც არის გარეული ციტრუსოვნები, საკმეველი მირრა, ლეღვი და მრავალნაირი არომატული ბალახეული. სიგრილე და სიმშვიდე, არომატული ფლორა და სასმელი წყლის სიუხვე ამ ადგილებში, როგორც ჩანს, იყო მიზეზი კუნძულის ამგვარი სახელწოდებისა.

კუნძულის მოსახლეობა, სხვადასხვა მონაცემებით, შედგენს 25-30 ათასამდე ადამიანს. დაახლოებით ნახევარი მთაში მცხოვრები ბედუინები არიან, მათ ძარღვებში ევროპელთა შორეული წინაპრების სისხლი სჩქეფს. კანი ღია ფერისა აქვთ, ზოგიერთებს კი — ცისფერი თვალები. მოსახლეობის 25 პროცენტი არაბეთის ნახევარკუნძულიდან მოსული არაბები არიან. დანარჩენი ზანგები — სომალიდან. ძირითადი ენა სოკოტრულია, მაგრამ იგი ნაკლებად არის შესწავლილი მეცნიერების მიერ.

აფრიკიდან მოსულნი თევზს იჭერენ და მარგალიტს ეძებენ ფსკერზე. მათი დასახლება კუნძულის დედაქალაქიდან ხადიდან არც თუ შორს არის. სახლები ძლიერ ჰგავს აფრიკულს, ბალმის ფოთლებით რომ არიან გადახურულნი. ლაპარაკობენ სუახილზე. რაც შეეხება ბედუინებს, ისინი მეცხოველეობას (ძროხები და ცხვრები მათი ძირითადი სიმდიდრეა) და მეთუნეობას მისდევენ. დღემ... ცეცხლს ჯოხების ერთმანეთზე ხახუნით ანაღებენ.

აქა-იქ კუნძულზე ფინიკის პალმებს წააწყდებით, რომლებიც კუნძულის მცხოვრებთა მნიშვნელოვანი ნაწილის გამოკვების წყაროა. ჩვენ ვნახეთ აგრეთვე მიწის პაწაწინა ნაკვეთები, რომლებიც მოწნული ღობეებითა და კედლებით არის შემოღობილი ქარისაგან. დასაცავად, ამ ნაკვეთებზე ბოსტნეული მოჰყავთ.

კუნძულზე თითქმის არ არსებობს ფულის მიმოქცევა. კუნძულის მცხოვრებნი უპირატესობას ნატურალურ გაცვლას ანიჭებენ. ამ საფუძველზე მიმდინარეობს სპარსეთის ყურიდან და აფრიკიდან მოსულ ვაჭრებთან ანგარიში. სოკოტრის ექსპორტი თავისებურად იგზოტიკურია. ეს არის უკვე აღნიშნული „ურჩხულის სისხლი“, მარგალიტი, მშრალი თევზი, ტყავი და ცებეტონი, რომელსაც პარფიუმერიაში იყენებენ. ფასობს ადგილობრივი კარაქი, რომელსაც ამზადებენ აქაური დაბალტანიანი ძროხის რძისაგან. სოკოტრის იმპორტი კი პროზაულია — ნავთი, სიმინდი, ბრინჯი, ასანთი... კუნძულის მცხოვრებლებმა ფაქტიურად არ იციან ფეხსაცმელი და ფეხშიშველნი დადიან წვიტიან ქვებზე, არ იცნობენ აგრეთვე სამედიცინო დახმარებას...

მარტო ბუნებამ რიდი შეუწყო ხელი სოკოტრის იზოლაციას გარე სამყაროსაგან. ამაში ბრალი ინგლისელ კოლონიზატორებსაც მიუძღვით. როგორც ჩანს, კოლონიზატორები ამგვარად ცდილობდნენ ამ „ტერიტორიის“ შენარჩუნებას. ადვილობრივი ზნე-ჩვეულებების პატივისცემის საბაბით შეგნებულად ხელუხლებლად ტოვებდნენ სიბნელესა და უკულტურობას. ინგლისელ კოლონიზატორთა თითქმის 130-წლიანმა ბატონობამ კუნძულზე ორი დანგრეული სამხედრო აეროდრომი და ყაზარმის ნანგრევები დატოვა.

საკმარისია კუნძულის მთავარ ქალაქს ხადიბუს შეხედო: თიხის პალმის ფოთლებით გადახურული ერთსართულიანი დაბალი სახლები, ვიწრო ქუჩები, ავეჯი აქ არავინ იცის. ქალაქში უფრო სწორად კი სოფელში თანამედროვე ცივილიზაციის ნიშანწყალიც არ არის. მთავარ კუნძულის დედაქალაქის ქუჩების ერთადერთი ნათურაა.

ხადიბუში არის ყოფილი სულთანის სასახლეც, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ თიხის შეუხედავ რამდენმეოთახიან ნაგებობას. ამბობენ, ექს-მმართველის ერთ-ერთი უველაზე საყვარელი გართობა დიდ კედლის სარკეში საკუთარი ფიზიონომიის ხანგრძლივად ცქერა იყო. მიუხედავად ამ კურიოზული სასახლისა, სულთანმა მაინც მოახერხა მსხვილი ბინათმფლობელი გამხდარიყო. როდესაც სამხრეთ იემენის დამოუკიდებლობა გამოცხადდა, სულთანი ცდილობდა ადგილობრივი მოსახლეობის დამონებას, მან თავისი მონები და კარის მსახურნი შეიარაღა, მაგრამ მალე მოუღეს ბოლო.

ჩვენი საუკუნის სიო პლანეტის ამ შორეულ კუთხესაც შეეხო. ხადიბუში, მაგალითად, რამდენიმე საზოგადოებრივ შენობაში ვნახეთ ვ. ი. ლენინის პორტრეტი. კუნძულის მცხოვრებლებმა თავიანთ სიმღერებსა და ცეკვებში ახალი ელემენტები შეიტანეს — „გაუმარჯოს ყველა არაბის რევოლუციურ ერთობას“, „გაუმარჯოს ეროვნულ ფრონტს“ — მღეროდნენ ხადიბუში.

დღეს კუნძული იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პირველ საგუბერნატოროში შედის. რესპუბლიკის მთავრობა სერიოზულად ეკიდება კუნძულელთა პრობლემებს. რამდენიმე წარმომადგენლობითი დელეგაცია უკვე გაეცნო მდგომარეობას კუნძულზე. განსაზღვრულია გზების გაყვანა, სკოლების მშენებლობა. ერთი სიტყვით, ბოლო უნდა მოეღოს საუკუნეობრივ ჩამორჩენილობასა და იზოლაციას გარე სამყაროსაგან, გზა უნდა გაეხსნათ კუნძულის მცხოვრებლებს სოციალური და ეკონომიური პროგრესისაკენ.

ი. ვეოზდეეი.

სოკოტრა-ადენი.

ინგლისის ხელისუფალნი სულ უფრო აძლიერებენ ჯარის ნაწილებს, რომლებიც ჩრდილოეთ ირლანდიის მოსახლეობის კანონიერ უფლებათა წინააღმდეგ მოქმედებენ. ამას წინათ ბელფასტში ჩავიდნენ დიდი ბრიტანეთის ჯარების ახალი კონტინგენტები. მათმა საერთო რაოდენობამ უკვე გადააჭარბა 9.000-ს. როგორც პრეს ასოციაციაშნის საგენტო იუწყება, მოხდა ახალი შეტაკებანი ადგილობრივ მცხოვრებლებსა და ინგლისის ჯარებს შორის. მთელ ღამეს მძვინვარებდა ხანძარი ქალაქში, ისმოდა ბომბების აფეთქების ხმა. პოლიციამ დაუპატიმრა ბევრი მოქალაქე. ოლსტერის ხელისუფალთა და ინგლისელ დამპყრობთა გაძლიერებული რეპრესიები, რომლებიც მიმართულია კათოლიკური უმცირესობის წინააღმდეგ, ხელს როდი უწყობს ქვეყანაში მშვიდობის დამყარებას.

სურათებზე თქვენ ხედავთ ბელფასტში გამართული დემონსტრაციის მონაწილეებს მავთულხლართებთან და ირლანდიელ ქალს, რომელიც პირში სიმართლეს ახლის ინგლისელ ჯარისკაცებს.

ფოტო კამერა პრეს-საკდესისა.

201 სიტყვა... ერთ გაკვეთილზე?

ნრიულად განლაგებულ საკარმიდლებში 12 კაცი იჯდა და რაღაცაზე გაეცხოველებით საუბრობდა, ერთმანეთს შინაურულად, სახელით მიმართავდნენ. აქა-იქ სიცილი გისმოდა. შემდეგ მუსიკა აჟღერდა და ყველა ერთმანეთს ამღერდა. პირველი შეხედვისთანავე ნათლად ჩანდა, რომ აქ უმუალობისა და მხიარულების ატმოსფერო სუფევდა, ყველანი კარგად იცნობენენ ერთმანეთს და აქაური ვითარება მოსწონდათ. დამსწრეთა შორის იყვნენ 17-დან 50 წლამდე ხნის ქალები და მამაკაცები.

...საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების ერთ-ერთ დარბაზში მიმდინარეობს ფრანგული ენის გაკვეთილი ჩქაროსნული სწავლების მეთოდით, რომელიც შეიმუშავა თვალსაჩინო ბულგარელმა მეცნიერმა გიორგი ლოზანოვმა. იგი ახლა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტროსთან არსებული სუგგესტოლოგიისა და სუგგესტოპედიის სამეცნიერო-კვლევის ცენტრს ხელმძღვანელობს.

ბაკვეთილს ატარებს მოსკოვის ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის ფრანგული ენის უფროსი მასწავლებელი მარიამ პავლეს ასული ტარასოვა. მოსკოველ პედაგოგთა ჯგუფთან ერთად იგი თბილისში ჩამოვიდა რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის მოწვევით, რათა მოაწყოს უცხო ენათა ჩქაროსნული სწავლების მეცადინეობის ექსპერიმენტული ციკლი.

„..მარიამ პავლეს ასული ხშირად იღიმება და შეკითხვებს აძლევს მსმენელებს. საყურადღებოა მის მიერ გაკვეთილის ჩატარების თავისებური მანერა: პედაგოგს ხმა ხან წყნარად და შემპარავადაც კი გაისმის, ხან ნარნარად, მელოდიურად, ხანაც „ფეთქდება“ (მოგვიანებით მიამბეს, რომ ახალი მეთოდის ეს ერთ-ერთი ხერხია, რომელიც შეუპოვარი წვრთნის შედეგია).

ეს გაკვეთილი სათვალავით მეათეა. შეკრებილნი კი, რომელთაც წინათ არასოდეს არ უსწავლიათ ფრანგული, დღეს ერთობ თავისუფლად უპასუხებენ პედაგოგის შეკითხვებზე.

დაუჯერებელია? შესაძლოა, კიდევ უფრო წარმოუდგენელია ის, რომ ერთ გაკვეთილზე. ისინი სწავლობენ... 201 სიტყვას, ხოლო მთელი ციკლის განმავლობაში — 21 მეცადინეობაზე — დაახლოებით ორი ათას სიტყვას! და მაინც, ეს ფაქტია. სწორედ ეს არის დოქტორ ლოზანოვის მეთოდიკის თავისებურება და უპირატესობა.

 დოცენტი ი. შმუტერი, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უცხო ენის სწავლების მეთოდიკის ცენტრალური კაბინეტის ხელმძღვანელი:

— სუგგესტია ლათინურად „ჩაგონებას“ ნიშნავს. მაგრამ ლოზანოვის მეთოდს საერთო არა აქვს რა არც პიპნოზთან, არც ძილის დროს ჩაგონებასთან. იგი მოქმედებს შეუქნობელ სფეროზე და ემყარება ტვინის რეზერვებს. ბულგარელი მეცნიერის დამსახურება ის არის, რომ მან პირველმა გაკვალა გზა ამ საფუძველზე სწავლებისათვის.

სხვათა შორის, ანალოგიურ идеის აწარმოებს ქართველი ფსიქოლოგი, პროფესორი ბ. ხაჭაპურიძე ისეთი ინფორმაციის მიწოდების დონეზე, რომელიც არ შეეხება შეგრძნებებს, და, როგორც გავიგეთ, წარმატებასაც აღწევს. კერძოდ, ამით, აგრეთვე საჭართველოში ახალი მეთოდის დანერგვის ერთ-ერთი ინიციატორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტის ლამარა გეგეჭკორის დიდი ენთუზიაზმით აიხსნება, რომ ჩვენ პირველად სწორედ თბილისში ჩამოვედით. ჩვენ კარგად ვიცნობთ ქართველ ფსიქოლოგთა სკოლის წარმომადგენლებს, ამ სკოლის დამაარსებლის — აკადემიკოს დ. უზნაძის ნაშრომებს. მისი განწყობის თეორიას იყენებენ ლოზანოვის სკოლაში. ჩვენ გვსურს დაგამყოროთ შემოქმედებითი კონტაქტები ქართველ მეცნიერებთან, კერძოდ, თბილისის უნივერსიტეტის სუბსენსორულ გამდიზიანებელთა ლაბორატორიასთან, რომელსაც პროფესორი ხაჭაპურიძე ხელმძღვანელობს. მისი მეცადინეობის პროგრამაში მსმენელები არათუ იღლებიან, არამედ თითქოს და ისვენებენ კიდევაც, გრძნობენ ძალ-ღონისა და ენერგიის მოზღვავებას. მოგვიანებით მათ მიამბეს, რომ შინაურებიც კი გაოცებული არიანო: მხიარული, გულღია, ნაკლებ გაღიზიანებული ხართო.

ლამარა გეგეჭკორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი:

— კურსი გათვალისწინებულია სამი კვირის მოცულობით. ციკლებს შორის შესაძლებელია ხანგამოშვება 3-7 თვის მანძილზე, რომელიც დახსომებაზე გავლენას არ ახდენს. პირველი და მეორე ციკლები გათვალისწინებულია 2-2 ათასი სიტყვის შესასწავლოდ. მასამდე ამდენივე სიტყვისათვის, მაგრამ ამ დროს შეისწავლება სპეციალური ტერმინოლოგია. ესე იგი ეს ციკლი განკუთვნილია კულტურის, მეცნიერების, მრეწველობის სხვადასხვა დარგებში მომუშავე სპეციალისტებისათვის.

ბულგარელი მეცნიერის მეთოდიკაში დიდ როლს ასრულებენ ისეთი ფაქტორები, როგორიცაა პედაგოგის ავტორიტეტი, მისი ინტონაცია, ძალდაუტანებელი ვითარება, მუსიკალური ფონი და ა. შ.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალი მეთოდიკა გათვალისწინებულია არა ენის სპეციალისტებისათვის, არამედ მეცნიერებისა და ინჟინრებისათვის, ეკონომისტებისა და ექიმებისათვის, სახელმწიფო აპარატის მუშაკებისათვის, მწერლებისა და მსახიობებისათვის, ერთი სიტყვით იმათთვის, ვისაც თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო უხდება შეხვედრები უცხოელებთან, საზღვარგარეთ გამგზავრება. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ მიღებული ცოდნა მყარია, თვისებული მასალა დიდხანს რჩება მეხსიერებაში.

როგორია თვით მსმენელთა აზრი?

ბ. ლეჩიძე, საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრი:

— ვერასოდეს ვერ ვიფიქრებდი, რომ ასე მალე დავიოსპარკიდი ინგლისურად, ცხრა გაკვეთილი მოვისმინე და უკვე შეეძინეს ერთი ენის პირველი ჩვეულები, მესმის მარტივი დიალოგები. ეს დიდი დამსახურებაა ჩვენი პედაგოგის ნატალია ნიკოლოზის ასული ზუბოვისა, რომელმაც შეძლო შეექმნა გაკვეთილზე ისეთი ვითარება, რომ თვითეული ჩვენგანი თავს თავისუფლად და ძალდაუტანებლად გრძნობს.

მერაბ ყურაშვილი, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამფეხლიანი მექანიკის კათედრის დოცენტი:

— სკოლაში ვსწავლობდი გერმანულ ენას, ახლა კი — ინგლისურს. თერმიტი გაკვეთილის შემდეგ ჩვენ მოვაწყვეთ თამაში-ექსკურსია ქალაქში და ინგლისურად ვსაუბრობდით მის დირსშესანიშნაობებზე.

ზაზუშვილი კოტეტიშვილი, თბილისის უნივერსიტეტის დოცენტი:

მოხარული ვარ, რომ წილად მხვდა ბედნიერება, ვყოფილიყავი ენის შესწავლის უშუალო მონაწილე. ისინიც კი, ვინც „სკეპტიკურად ეკიდებოდა ახალი ენის შესწავლის უნარს, ვაოცებულია მიღწეული წარმატებებით. მეცადინეობა ცოცხლად მიმდინარეობს. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ახალი თეთდის ავტორს — პროფესორ ლოზანოვს და ენთუზიასტებს.

აი რას ამბობს დოქტორ ლოზანოვის მეთოდზე პროფესორი ბარნაბ ილუმბაზ-ძე ხაბაპაშვილძე:

— ბულგარელი მეცნიერის ექსპერიმენტები მეტად საინტერესოა. მათ საფუძველად უდვეს ჩაგონებისა და ადამიანზე გაუცნობიერებელი ზემოქმედების გამოყენება სწავლების მიზნით. ეს ექსპერიმენტები საშუალებას გვაძლევენ გამოვავლინოთ ტვინის ასალი რეზერვები, სწრაფად ავითვისოთ შესასწავლი მასალა.

ახალი მეთოდის ფსიქოლოგიური საფუძველია აკადემიკოს უზნაძის განწყობის თეორია, რომლის თანახმად არსებობს ცნობიერამდელი განწყობისეული ფაქტი, რომელიც სინამდვილის ასახვის ადეკვატურია. არსებითად ლოზანოვის მეთოდს საფუძვლად უდვეს ეს თეორია. მთელ რიგ გაკვეთილებზე დაკრწმუნდი ბულგარელი მეცნიერის მეთოდიკის ქმედითობაში.

ვგონებ, მომწიფდა იმის საჭიროება, რომ საქართველოში შეიქმნას ამ საკითხების შესწავლის, აგრეთვე უცხო ენის უმოკლეს ვადაში სწავლების მეთოდიკი პედაგოგთა მომზადების ერთიანი ცენტრი.

...გაკვეთილი დასასრულს უახლოვდება. ნუ ელით საშინაო დავალებას. ეს არ იქნება! მხოლოდ ხვალ მსმენელებს წინ დაუდებენ ქაღალდის ფურცლებს, მისცემენ ტექსტებს, რომლებშიც ისინი შეხვდებიან მათთვის ახალ 201 სიტყვას, რომლებიც დღეს შეისწავლეს, და ისინი თარგმნიან ტექსტს, როგორც დღემდე აკეთებდნენ.

შემდეგი გაკვეთილია საუბარი. ამ გაკვეთილზე მსმენელები იყენებენ მთელ წინათ გავლილ მასალას და გაითამაშებენ წარმოდგენებს. თვითეულს მიეცემა ახალი სახელი და ახალი სპეციალობა. ერთი გახდება შოფერი, მეორე — გამყიდველი, მესამე — მუსიკოსი... დროის გარკვეულ მონაკვეთში თვითეული მათგანი შეასრულებს თავის როლს. სპეციალისტთა აზრით, ეს განსაკუთრებით საინტერესოს ხდის გაკვეთილს. შემდეგ კი იქნება ისევ 200 ახალი სიტყვა. და აი ასე მოხდება სწავლების მთელი პირველი ციკლის მანძილზე. საგულისხმოა, რომ სწავლების ჩვეულებრივი მეთოდებით ადამიანი დღეში იხსომებს მაქსიმუმ 20-30 სიტყვას.

მეორე ციკლის შემდეგ ისინი თავისუფლად ისაუბრებენ მიღებული სიტყვიერი ჩანაწერის ფარგლებში, წაიკითხავენ წიგნებს, გაზეთებს.

— გაკვეთილი დამთავრებულია, — ამბობს მარიამ პავლეს ასული. — დღეს თქვენ შეისწავლეთ 201 სიტყვა...

ი. გოლდმანი,
(საქდესის კორ.).

დიდი სპარტაკიადა

დაიწყო საქართველოს მეხუთე სპარტაკიადა

V სპარტაკიადა 1971

ნლევანდელი სპორტული სეზონი მართლაც რომ უჩვეულოა. იგი სსრ კავშირის ხალხთა მეხუთე სპარტაკიადის, სპორტსმენთა გრანდიოზული ფორუმის წელიწადად არის აღიარებული. თვალს თუ გადავავლებთ ახალი სპორტული სეზონის ასპარეზობათა კალენდარს, მისი დიდი ნაწილი სპარტაკიადებს აქვს დათმობილი. სპარტაკიადები მარტო დიდი შეჯიბრება როდია, ისინი ამასთანავე ასახავენ უკანასკნელი წლების მანძილზე მასობრივ ფიზკულტურულ მუშაობაში მოპოვებულ წარმატებებს, უფრო ნათლს ხდიან მშრომელთა ფიზიკური აღზრდის საქმეში გაწეულ მუშაობას.

სპორტსმენთა მოსკოვის ფორუმამდე არც თუ დიდი დრო დარჩა, განვლო ყველაზე მასობრივმა ასპარეზობებმა სოფლად და ქალაქად, წარმოებებსა და დაწესებულებებში. და აი დღის წესრიგში დგას სსრ კავშირის ხალხთა მეხუთე სპარტაკიადისათვის მზადების უკანასკნელი ეტაპი — რესპუბლიკური შეჯიბრებები. სწორედ ამ შეხვედრებში გამარჯვებულნი იქნებიან მოსკოვის ასპარეზობათა მონაწილენი.

ისევე, როგორც ყველგან, ჩვენს რესპუბლიკაშიც დიდი მუშაობა მიმდინარეობს სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის. უკვე დაბოლოებულია ფიზკულტურული კოლექტივების, სასპორტო საზოგადოებათა, რაიონული და საქალაქო შეხვედრები, ფინინი აქვს თბილისის სპარტაკიადას. ამ შეხვედრებმა გამოავლინა არა ერთი ნიჭიერი სპორტსმენი. რაც შეეხება სპორტულ მაჩვენებლებს, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ჩინებულია, ცოტა როდია რეკორდები. ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს ნაკრები გუნდები სახეობათა მიხედვით წარმატებით დაიცავენ ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას სსრ კავშირის ხალხთა მეხუთე სპარტაკიადაზე და შეინარჩუნებენ იმ კარგ ტრადიციას, რაც აღრინდელ სპარტაკიადებზე ჰქონდათ.

მართალია, საქართველოს სპარტაკიადა, რიცხვით მეხუთე, ოფიციალურად 5 ივნისს გაიხსნება, მაგრამ მისმა მონაწილეებმა სტარტი უკვე გუშინ აიღეს. ამ მხრივ პირველი მახარობლები იყვნენ ცხენოსნები და აფროსნები. სპარტაკიადის პროგრამა ფართოა. სპორტის მოყვარულები გარდა ცხენოსნობისა და აფროსნობისა, ნახავენ მიმზიდველ შეხვედრებს ტანვარჯიშში, სამბოში, წყალბურთში, კრიფში, თანამედროვე ხუთჭიდში, ფარიკაობაში, სასტენდო სროლაში, ველოსპორტში, კალათბურთში, ფრენბურთში, ხელბურთში, მშვილდოსნობაში, ტყვიის სროლაში, ძალოსნობაში, ცურვაში, წყალში ხტომაში, მძლეოსნობაში, ქართულ ჭიდაობაში, ლეღოში, ნიჩბოსნობაში, თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობებში.

ეს შეჯიბრებები თვეზე მეტს გასტანს. მათი უმრავლესობა შედგება თბილისის სტადიონებზე, სპორტულ ბაზებზე. მაისში ისპარეზებენ ცხენოსნები, აფროსნები, ტანმოვარჯიშეები, სამბისტები, წყალბურთელები, მოკრიველები, თანამედროვე ხუთჭიდელები. დანარჩენ სახეობებში შეხვედრები მეექვსე ივნისში.

ცოტა მაყურებელი როდი ჰყავდა გუშინ თბილისის იპოდრომს. აქ ცხენოსანთა ასპარეზობა დილიდანვე დაიწყო, შეჯიბრების ოფიციალური გახსნა კი შედგრებით მოგვიანებით შედგა. სპარტაკიადაზე გამოდიან აფხაზეთის, თბილისის, ცხაკაიასა და ზუგდიდის გუნდები. პროგრამაშია ცხენის გაწვრთნა დიდ პრიზზე, დაბრკოლებათა გადალახვა საქართველოს თასზე, სამჭიდი უფროსი ასაკის ცხენებისათვის. პარალელურად მიმდინარეობს რესპუბლიკური ჩემპიონატი ხტომაში, დაბრკოლებათა გადალახვაში, სამჭიდში უმცროსი ასაკის ცხენებისათვის, ცხენის გაწვრთნაში მცირე პრიზზე და ა. შ.

მონაწილეთა თვალსაჩინო ნაწილი საქართველოს ნაკრების კანდიდატები არიან, ამიტომ, ბუნებრივია, ფავორიტებადაც მათ თვლიან. დილით შედგა შეჯიბრება სამჭიდის ერთ-ერთ სახეობაში — სამანეეთ სვლაში. აქ წარმატება ხვდა თბილისის გუნდის წარმომადგენელს რ. მესტვირიშვილს.

ასპარეზობის საზეიმო გახსნისას სპორტსმენებს მიესალმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ბალანაძე. ალამი აღმართეს გუნდების კაპიტნებმა. შემდეგ მოეწყო შეჯიბრება დაბრკოლებათა გადალახვაში გახსნის პრიზზე. ცხენოსანთა შეჯიბრება რამდენიმე დღეს გაგრძელდება.

თბილისის ზღვაზე შეიკრიბნენ აფროსნები. გუშინ მათაც გახსნეს საქართველოს სპარტაკიადა. ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის აფროსნების გარდა სტარტზე გამოვიდნენ აჭარისა და აფხაზეთის გუნდები, რომელთა რიგებში არიან ჩემპიონები, პრიზიორები. ასპარეზობა მიმდინარეობს ოთხი ოლიმპიური კლასის ნავით. „დრაკონის კლასის“ ნავებით შეჯიბრებაში მონაწილეთა შორის არის შარშანდელი ჩემპიონი სპორტის ოსტატი ი. ფერაძე. სამ-სამი ეკიპაჟი მონაწილეობს „ვარსკვლავის კლასის“, „მფრინავი ჰოლანდიელის“ და „ფინის კლასის“ ნავებით ასპარეზობაში. პირველ დღის შეჯიბრებაში თავი ისახელეს სოხუმელმა სტრაპილოვმა, თბილისელებმა ზოიძემ და ფერაძემ.

დღეს ბრძოლაში ჩაებმებიან ტანმოვარჯიშე გოგონები და ჭაბუკები. მათ სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ასპარეზობა ექნებათ თბილისის განათლების განყოფილების სასპორტო დარბაზში.

ვ. გაბელია.

• • •

სურათებზე: ზევით — აფროსანთა ასპარეზობა თბილისის ზღვაზე; ქვევით — ცხენოსანთა აღლუმი თბილისის იპოდრომზე.

ფოტო ვ. გოგოხიასი და ხ. კილაძისა.



დღეს შვიდი მაჯჩია

„ა“ **კლასის** უმაღლესი ჯგუფის ფეხბურთელთა გუნდები განაგრძობენ ბრძოლას ჩვენი ქვეყნის პირველობაზე. დღეს შედგება მეექვსე ტურის 7 მატჩი.

ყურადღების ცენტრში დგას ლიდერების — ვოროშილოვგრადის „ზარიასა“ და კიევის „დინამოს“ მატჩი კიევში. არანაკლებ საინტერესოა შეხვედრა ერევანში ადგილობრივი „არარატსა“ და ბაქოს „ნეფტჩის“ გუნდებს შორის.

თბილისის დინამოელები დონის როსტოვს ეწვევიან და დღეს აქ პაექრობა ექნებათ არმიის სასპორტო კლუბის გუნდთან. მოსკოვში დედაქალაქის „სპარტაკის“ მეტოქე იქნება ლენინგრადის „ზენიტი“. მინსკში ერთმანეთს შეხვდებიან მოსკოვისა და მინსკის დინამოელები. ტაშკენტის „პახტაკორი“ უმასპინძლებს მოსკოვის „ტორპედოს“. ალმა-ატაში მატჩი იქნებათ „კაირატისა“, და არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდებს.

კოპენჰაგენში, დევისის თასზე

დევისის თასის გათამაშებას შემთხვევით როდი უწოდებენ მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონატს ჩოგბურთში. ამ შეჯიბრებაზე გამოდიან სახელმოხვეჭილი სპორტსმენები, სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად წელს ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა ჩოგბურთელები, რომლებსაც სათავეში უდგას ჩვენი ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონი **ა. მეტრეველი.** საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში არიან აგრეთვე **ა. ვოლკოვი, ვ. კოროტკოვი** და **ს. ლიხაჩოვი.**

ხვალ სსრ კავშირის ნაკრებს კოპენჰაგენში დევისის თასზე პირველი მატჩი ექნება დანიის გუნდთან.

„მშვიდობის ველორგოლა“

დღეს ვარშავაში სტარტს აიღებს მოყვარულ ველომრბოლთა პოპულარული ასპარეზობა — „მშვიდობის ველორბოლა“. წლევანდელი შეჯიბრება რიცხვით ოცდამეოთხეა. მონაწილეობას მიიღებენ 17 ქვეყნის წარმომადგენლები. მათ შორის არიან საბჭოთა ველომრბოლები — ვ. სოკოლოვი, ი. ოსინცევი, ა. სტარკოვი, რ. კალნენიკესი, ვ. ნელიუბინი, ფ. გუსიატნიკოვი და ნ. გორელოვი.

საბჭოთა ველომრბოლები ასეთ ასპარეზობაზე 1954 წლიდან გამოდიან. მათ შეიდჯერ დაიკავეს გუნდური პირველი ადგილი, ხოლო პირად შეჯიბრებაში წარმატება ხვდათ ლენინგრადელ ი. მელიხოვს, სოჭელ გ. საიდხუჟინს და აშხაბადელ ვ. ლებედევს.

დისტანცია 1.887 კილომეტრი გაყოფილია 14 ეტაპად. ტრასა გადის სამი ქვეყნის — პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის გზატკეცილებზე. სპეციალისტები ფავორიტებად თვლიან პოლონეთის, სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდებს.

ასპარეზობათა კალენდარი

● **თბილისის** სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ მძლეოსანთა ასპარეზობაზე, რომელიც „ლოკომოტივის“ სტადიონზე შედგა, წარმატებით გამოვიდა ახალგაზრდა დინამოელი სპორტსმენი ჯ. ფხაკაძე, რომელმაც ურო ტყორცნა 69 მეტრსა და 6 სანტიმეტრზე და სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა იუნიორთა შორის.

● „ა“ **კლასის** პირველი ჯგუფის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატზე გათამაშდა მეთვალყურეებიც — პირველ ხანებში სამ-სამი, მერე ორ-ორი კაცი.

„პალასს“ „ტოკიო“ სცვლის. კაკაურიძე თავის „მეთვალყურეებთან“ ერთად უყურებს ტელევიზორს, ესწრება სპორტულ სანახაობებს, სწავლობს და „სიამოვნებით ერთობა იაპონური თამაშობებით“ (აქაც და შემდეგშიც ბრჭყალებში მოყვანილი წინადადება კაკაურიძეს ეკუთვნის). მოკლედ, ისე ცხოვრობს, როგორც ზღაპარში.

და, რა თქმა უნდა, „მეთვალყურენი“ სწავლობენ მის სახიათს, უნარს, განწყობილებას, შესაძლებლობას.

და იმ ხანებში მისი სახელიც ზღაპრული სისწრაფით ედება ბურჟუაზიული პრესის ფურცლებს.

მარტო ერთ დღეს — 30 ივლისს იაპონურ გაზეთებში — „ასახში“, „იომიურში“, „ხანკეი სიმბუნში“, „ტოკიო სიმბუნში“ გამოქვეყნდა ვრცელი წერილები სათაურით „საბჭოთა მოქალაქე თხოულობს თავშესაფრის მიცემას“. ეს წერილი ასე იწყებოდა:

ტოკიოს პოლიციის სამმართველოს საზოგადოებრივი უშიშროების განყოფილებამ 29 ივლისს გვაცნობა, რომ მსოფლიო გამოფენის დასათვალიერებლად ჩამოსულმა საბჭოთა მოქალაქემ ერთი თვის წინ, ე. ი. 27 ივნისს ითხოვა მისთვის თავშესაფრის მიცემა.

ეს საბჭოთა მოქალაქე ცხოვრობს საქართველოში, ქ. გორში და არის სსრ კავშირის ელექტრომომარაგების სამინისტროს ადგილობრივი განყოფილების უფროსი კაკაურიძე გივი აპოლონის-ძე. ის 33 წლისაა.

საზოგადოებრივი უშიშროების განყოფილებამ კაკაურიძე მოათავსა ტოკიოს ერთ-ერთ სასტუმროში და ამჟამად განიხილავს მისი შემდგომი ბედის საკითხს. კაკაურიძემ გამოთქვა მტკიცე გადაწყვეტილება „მოიპოვოს როგორც სულიერი, ისე მოქმედებისა და გადაადგილების თავისუფლება“. მან განაცხადა, რომ უნდა გაემგზავროს ამერიკის შეერთებულ შტატებში ან დასავლეთ ევროპის რომელიმე ქვეყანაში.

...27 ივნისის დილას მან ითხოვა თავშესაფრის მიცემა. კაკაურიძემ განაცხადა შემდეგი: „მე ვიცოდი, რომ წარმოებდა ტურისტების შეგროვება მსოფლიო გამოფენაზე დასასწრებლად. ამასთან დაკავშირებით მე დავხარჯე მთელი ჩემი ქონება, რათა მოგზაურილიყავი ტურისტთა ჯგუფში. რამდენიმე წლის წინათ მე ვიყავი ბელგიაში, სადაც პირველად შევიცანი თავისუფალი ცხოვრება. ამის შემდეგ მე ვეძებდი შემთხვევას უცხოეთში იმიგრირებისათვის“.

ქალაქი გორი საქართველოს რესპუბლიკაში მდებარეობს და ფართოდ არის ცნობილი როგორც სტალინის დაბადების ადგილი. კაკაურიძე უცოლშვილოა, მაგრამ ამ ქალაქში კაკაურიძის მშობლებთან ერთად ცხოვრობს მისი რამდენიმე ძმა.

შემდეგ წერილში დაწვრილებით არის ლაპარაკი იმაზე, რომ იაპონიაში არსებული კანონით ამ ქვეყანაში არ მიიღებიან ემიგრანტები და ისინი გადაეცემიან სხვა მესამე სახელმწიფოს.

„საბჭოთა ტურისტი აქ ეძებს თავშესაფარს“ — ასე დაასათაურა თავისი ცნობა გაზეთმა „მაინიჩი დეილი ნიუსმა“.

იმავე დღეებში იაპონიის რადიოს დიქტორი ეთერში გაჰყვიროდა: „ბატონმა კაკაურიძემ... შუამდგომლობა აღძრა მისთვის პოლიტიკური თავშესაფრის მიცემის შესახებ. ეს არის პირველი უცხოელი ოსკის გამოფენის დამთვალიერებელთა შორის, რომელმაც ითხოვა პოლიტიკური თავშესაფარი“ და იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრო აცნობდებს, რომ იმედი აქვს მონახოს ქვეყანა, რომელიც დათანხმდება მისცეს მას პოლიტიკური თავშესაფარი.

ეს ცნობა „ამერიკის ხმამ“ რუსულსა და ინგლისურ ენებზე გადასცა. ეთერში გავიდა ტაივანის რადიოსადგური „განთავისუფლებაც“, ხოლო „ბი-ბი-სიმ“ 3 სექტემბერს გამოაცხადა, რომ „ბატონი გივი კაკაურიძე“ რომში ჩაფრინდა.

დიახ, იაპონიაში არსებული კანონების თანახმად, ამ ქვეყანაში მისი ყოფნის ვადა იწურებოდა. იგი იტალიური საავიაციო კომპანიის „ალიტალიის“ თვითმფრინავზე დასვეს და მას რომის აეროდრომზე ახალი „მზრუნველები“ დახვდნენ.

მოხდა ისე, რომ კაკაურიძეს იტალიის ხელისუფლებაც დროებითი თავშესაფარი მისცეს, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში განუცხადეს, რომ ამერიკაში წასვლისათვის საჭიროა: იქ უნდა ჰყავდეს ნათესავი, რომელიც იკისრებს მის უზრუნველყოფას ბინით და სამუშაოთი, ან რომელიმე ფირმის მიერ უნდა იყოს მიწვეული როგორც სპეციალისტი, ანდა უნდა მოიცადოს მანამდე, სანამ მას იქ არ მიიწვევენ სპეციალისტად.

...„მე მაინტერესებს როგორ ცხოვრობენ სხვადასხვა ქვეყანაში და ვაპირებ ამ ქვეყნებში ვიცხოვრო ერთი, ორი ან ოთხი წელი და დავიმაყოფილო ჩემი ცნობისმოყვარეობა“.

...„მე ვფიქრობდი ჩემი სპეციალობით დამეწყო მუშაობა, მეცხოვრა იაპონიაში, ხოლო შემდეგ წავსულიყავი ევროპის რომელიმე ქვეყანაში. მე არ ვიცოდი, რომ იაპონია არ იღებდა ემიგრანტებს“.

არ იცოდა...

იაპონელმა, ამერიკელმა და სხვა შესაძლო „მასპინძლებმაც“ გვიან გაიგეს, რომ მათთან მიფრენილი „ოქროს ჩიტი“ სრულებით არ იყო ოქროსი. მათ ხელში შერჩათ ჩამოუყალიბებელი ხასიათისა და ავადმყოფური ქცევის მერყევი კაცი. მაგრამ მაინც ორ თვეზე მეტს ინახავდნენ „ოქროს გალიაში“, აჭმევდნენ, ასმევდნენ, ართობდნენ, ფულს აძლევდნენ სუვენირების შესაძენად (და ეს სუვენირები — იაპონური ალსტუსის სამაგრები, ავტოკალმის ფორმის ჯიბის ფარანი, ფაიფურის ლინზიანი თლაშო, რომლის ფსკერზეც წყლის ჩასხმის დროს შიშველი ქალი გამოჩნდება — მან სამშობლოში ჩამოიყოლა). სამაგიეროდ მათ, ჩვენი სამშობლოს, ჩვენი ხალხის მტრებს საშუალება მიეცათ ატეხათ საკმაოდ ბინძური ხმაური საბჭოთა ქვეყნისათვის, ჩვენი ხალხისათვის ჩირქის მოსაცხებად.

მოხდა ისე, რომ რომში ჩაფრენისთანავე კაკაურიძემ დედის წერილი მიიღო, მოხდა ისიც, რის მოხდენაც გარდუვალი იყო — კაკაურიძე მიხვდა, რომ „აღთქმულ სამოთხეს“ ვერ იპოვნიდა.

და აი რომის რომელიღაც ჰანსიონში დაბინავებული კაკაურიძე იტალიაში საბჭოთა საელჩოს კარს მიადგა და ითხოვა დახმარება სამშობლოში დასაბრუნებლად.

დიდი, კეთილი, მოწყალე გული აქვს ჩვენს სამშობლოს!

გივი კაკაურიძე დაბრუნდა.

კაცი, რომელიც თავისი ნაბიჯის სიმცდარეს აღიარებს და სამშობლოში დაბრუნებას ითხოვს, კანონით არ ისჯება. მაგრამ რა უნდა იყოს იმაზე, დიდი სასჯელი, რასაც შენი ხალხის გულისწყრომა ჰქვია. სწორედ ამ გულისწყრომამ და გულისტკივილმა მაიძულა კაკაურიძის ამბავი მომეთხრო იმათთვისაც, ვინც არ იცოდა, მომეთხრო, რათა მათაც შერისხონ იმის საქციელი, რომელმაც შეარცხვინა სამშობლო, ყველა ჩვენგანი.

რამ აიძულა კაკაურიძე გადაედგა ასეთი სამარცხვინო და საძრახისი ნაბიჯი, რომელსაც საერთოდ ვერავითარი მიზეზი ვერ გაამართლებს.

„საქმე ის არის, რომ ბავშვობიდანვე მიტაცებდა მოგზაურობა“... ვისღა არ იტაცებს მოგზაურობა. მაგრამ რა წარმოუდგენელი სიღრმის უფსკრულია მოგზაურობასა და სამშობლოსაგან განდგომას შორის!

„1967 წელს ვიყავი ბელგიაში, მაგრამ იქ არ დავრჩი იმიტომ, რომ ძლიერ მიყვარს საქართველო, და აქ მყავს ძვირფასი ნათესავები და შეგობრები“. სადღა გაქრნენ საქართველო და ნათესავ-მეგობრები ტოკიოს პოლიციისში გამოცსადების დროს, „პალასსა“ თუ „ტოკიოში“ განცხრომით ცხოვრების დღეებში?..

და, ბოლოს, თურმე რაში ყოფილა საქმე: „იაპონიაში დარჩენა 1970 წლის მაისში გადავწყიტე“, რადგან თურმე აქ, მშობლიურ გორში, გაანაწყენეს, არ უნდოდათ, რომ იგი მსოფლიო გამოფენაზე გამგზავრებულიყო.

როგორც ბურჟუაზიული პრესის ფურცლებიდან და რადიოგადაცემებიდან „მსოფლიომ შეიტყო“, გივი კაკაურიძე ინჟინერი-ტექნიკოსია. ხოლო ჩვენმა მკითხველმა რომ უფრო დაწვრილებით შეიტყოს, ვიტუვით: მას სამშობლომ მისცა უმაღლესი განათლება, სამუშაო, თანამდებობა, ბინა — ცხოვრების ყველა პირობა. ჰქონდა შესანიშნავი ოჯახური წრე. ჰყავს მამა, — აგროტექნიკოსი, ამჟამად პენსიონერი, დედა, ძმა — ერთ-ერთი ქარხნის დირექტორი, და — სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე (ჩვენ მათს სახელებს არ მოვიხსენიებთ, რადგან ისინი ისედაც საკმაოდ შეარცხვინა ძმისა და შვილის უღირსმა საქციელმა). გ. კაკაურიძე 1970 წლის აპრილამდე გორის საქალაქო ელექტროქსელის დირექტორად მუშაობდა, ხოლო შემდეგ გორის სარაიონო ელექტროქსელთან საქალაქო ქსელის შეერთების გამო, — სარაიონო ქსელის საქალაქო უბნის უფროსად.

და სწორედ საქალაქო ელექტროქსელის დირექტორობიდან საქალაქო უბნის უფროსად კაკაურიძის გადასვლის რამდენიმე დღის შემდეგ დადგა იაპონიაში გასამგზავრებლად ტურისტების შერჩევის საკითხი. რაიონის ხელმძღვანელობამ თავი შეიკავა დახასიათება-რეკომენდაციისა მიეცა კაკაურიძისათვის როგორც ქსელის ახალი მუშაკისათვის. და აი მან აჭ გამოამჟღავნა (რა თქმა უნდა საიდუმლოდ) თავისი ნიჭის მთელი შესაძლებლობა — შეძლო ყალბი დოკუმენტების შექმნა, რომელთა მეშვეობითაც მიიღო საზღვარგარეთ წასასვლელი ვიზა.

გ. კაკაურიძე ყალბი დოკუმენტების შექმნისა და საზღვარგარეთ უკანონოდ გამგზავრებისათვის წარსდგა საბჭოთა მართლმსაჯულების წინაშე და ამისათვის დამსახურებისამებრ მიეზღო კიდეც.

მაგრამ მე მაინც მის „მოგზაურობაზე“ ვფიქრობ. მაგონდება სამამულო ომის ბოლო წლები, სამშობლოსგან იძულებით მოშორებული და ჩვენს მიერ განთავისუფლებული ადამიანები — ფრანგები, ნორვეგიელები, პოლონელები, ჩეხები, რუსები, უკრაინელები... რა აუწერელი სიხარულით მიეგებოდნენ მშობლიური ქვეყნებისაკენ! ახლად დაბადებულებს ჰგავდნენ, მიდიოდნენ ფეხით, უმძიმო, ყველაფრით, რაც კი მშობელ ეკრანთან თუნდაც ერთი ნაბიჯით მიაახლოებდათ. მაგონდება წაკითხული თუ მოსმენილი სვედა მამულისაგან მოცილებულთა. მაგონდება საბჭოთა საზღვრებს იქით ომში გატყრებული ჩემი გრძელი და მძიმე თვეები და დღეები— დღე არ ყოფილა, საათი არ ყოფილა, რომ გული არ შემტკივებოდეს მშობლიური მთა-ველის დაღანდებაზე, ცეცხლში მყოფ მეომრებს თვით სიკვდილის შიშსაც გვიხშობდა მონატრებული მამულის წამიერი გახსენებაც კი... და ვერაფრით ვერ წარმომიდგენია იყოს ადამიანი, ცხოვრობდეს და დადიოდეს მიწაზე, სადაც დაიბადა და გაიზარდა, ცხოვრობდეს და დადიოდეს ჩვენს შორის და სხვათა ქვეყანას სთხოვოს თავშესაფარი, თუნდაც არა პოლიტიკური (კაკაურიძე რომ პირდაპირ თავს იკლავს, თავშესაფარი კი ვითხოვე, მაგრამ პოლიტიკური თავშესაფარი არ მითხოვიაო). და ვინც ამას ჩაიდენს, ან თუნდაც ამის ჩადენას გაიფიქრებს, მას არც ადამიანობა უნდა ეთქმოდეს.

წინაპრებს უთქვამთ, მშობელი ქვეყნის კლიტეებიც კი სხვა ქვეყნის ნამდვილ სამოთხეზეც კარ გაიცვლებაო. ასე იყო, ასე არის, ასეც იქნება. და მით უმეტეს, როგორ უნდა გაცვალო ჩვენი, მართლაცდა სამოთხისდარი სამშობლო მიწა.

თ. ჯანგულაშვილი.

სხვა გაზეთებიდან

ეს მოხდა ოკეანეში...

სანკეანო ლაინერი „შოთა რუსთაველი“ უცხოელი ტურისტებით მორიგ რეისში იყო წყნარ ოკეანეში. პოლონეზის კუნძულებთან ცურვის დროს ვახტზე მდგომმა მეზღვაურმა გაშლილ ზღვაში ტალღებზე მოქანავე გასაბერი ტივი შენიშნა. ტივზე ადამიანები იუვნენ. ხომალდი ტივისაკენ გაემართა, და მალე გემბანზე ამოიყვანეს სამი დაუძლურებული ადამიანი. ისინი აღმოჩნდნენ გერმანელები შტოლტენგი, ნაიხორტი და შვაიხოვერტი. როგორც გამოირკვა, მათ სპორტული იახტით საწვრთნელი ცურვა მოეწყოთ მარკესის კუნძულების სანაპიროსთან. მოულოდნელად მოვარდნილმა შტორმულმა ქარმა იახტა გაშლილ ზღვაში გიტაცა. სტიქიასთან ბრძოლაში იახტა ჩაიძირა და სამი სპორტსმენი გასაბერ ტივზე შერჩა. 24 დღე გრძელდებოდა მათი მძიმე ბრძოლა ოკეანესთან...

რამდენიმე დღით ადრე კი შავი ზღვის სანაოსნოში სხვა ცნობა მოვიდა, ახლა უკვე პლანეტის სხვა ადგილიდან. სავაჭრო თბომავალ „მარნეულის“ ეკიპაჟი ატლანტის ოკეანიდან იუწყებოდა, რომ მათ საგანგაშო სიგნალი მიუღიათ ლიბერიის „ფერსტ ლედიდან“: ბოცმან გიაფის ხარილაოსს სასწრაფო სამედიცინო დახმარება ესაჭიროებოდა. „მარნეულმა“ კურსი შეიცვალა და მალე გემის შალიმოვი „ფერსტ ლედის“ ქიმზე ავიდა. ავადმყოფს საჭირო დახმარება აღმოუჩინეს, დაუტოვეს მედიკამენტები. მეორე დღეს „ფერსტ ლედი“ საბჭოთა გემის ეკიპაჟს ექიმისადმი მხურვალე მადლობის სიტყვებით ერთად რადიოგრამით ატყობინებდა, რომ ბოცმანის ჯანმრთელობა გამოკეთდა.

საბჭოთა მეზღვაურების ამ ორი კეთილშობილური მოქმედების შესახებ მკითხველებს მოუთხრო გაზეთმა „პრავდამ“.

ტელევიზია

6 მაისი

პირველი პროგრამით

11.05 — დოკუმენტური ფილმი „235 მილიონი“, 12.15— მხატვრული ფილმი „თოჯინა“ (მეორე სერია), 17.50 — „ცეროდენას ეკრანი“, 18.00 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა, 18.20 — კონცერტი „ეკრანს ნანა იანვილი“, 19.00 — სატელევიზიო მრავალსერიანი დოკუმენტური ფილმი „საბჭოთა საქართველოს ნახევარი საუკუნის მატიანე“ (მეორე სერია), პრემიერა, საქართველოს ტელევიზიის ნაწარმოები, 20.00 — **შეხვედრა საბჭოთა კავშირის პირველობაზე „არარატი“ ერევანი — „ნეფტჩი“ ბაქო II ტაიმი, (გადაცემა ერევნიდან); 20.45 — „ეკონომიკა ციალიდან „არჩევნების შესახებ ერდოდ“, 21.05 — შეხვედრა საბჭოთა კავშირის პირველობაზე „დინამო“ (მინსკი) — „დინამო“ (მოსკოვი), II ტაიმი (გადმოცემა მინსკიდან), 21.45 — საქართველოს ფირადი ტელევიზია. „ალიტრა“, 22.20 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის „დარჩეს შენდა სადღეგრძელოდ“, 23.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა.**

მეორე პროგრამით

19.00 — სტუდენტთა დასასმარებლად — ლექცია მეცნიერულ კომუნიზმში, 19.45 — საქართველოს ფირადი ტელევიზია. დოკუმენტური ფილმი „დიადი გმირობა“, 20.30 — დოკუმენტური ფილმი — „ეს სიმარჯვის დამკვიდრებაა“.

7 მაისი

პირველი პროგრამით

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — კინოპროგრამა — „ეკიდების ტბა“, 12.00 — „საიუბილეო კინოეკრანი“ მხატვრული ფილმი „ჯანყი გურიაში“ (პირველი და მეორე სერია), 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — მოსწავლეთათვის. კონცერტი, 18.40 — რადიოს დღე, 18.50 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი — „მიტოვებული ჟურნალი“, 19.00 — ხალხური შემოქმედების საკავშირო სატელევიზიო ფესტივალი — საქართველოს სსრ (გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის), 20.30 — სატელევიზიო მრავალსერიანი დოკუმენტური ფილმი — „საბჭოთა საქართველოს ნახევარი საუკუნის მატიანე. III სერია. პრემიერა, 21.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 22.00 — „გზებსა და გზაჯვარედინებზე“, 22.25 — საქართველოს ფირადი ტელევიზია. კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 23.05 — „დრო“ — საინფორმაციო პროგრამა (ვიდეოჩანაწერი).

მეორე პროგრამით

19.00 — სკოლების დასასმარებლად (მე-8-9-10 კლასებისათვის) გაკვეთილი ფიზიკაში, 20.00 — სტუდენტთა დასასმარებლად ლექცია თეორიულ მექანიკაში, 21.00 — ქართული სატელევიზიო ფილმების სალამო.

ქარხანა-ნაირი სტიქიამ ეროვნული ლაბორატორია ბოლოს ...

[illegible] ... ბ. მაისი. (სპეციალი კორ. ვ. ტროფიმოვი). ხაშიშროებას არავინ არ მოელოდა. საბჭოთა მეურნეობა „უშაკოვსკის“ მიწათმოქმედნი ამურის ზემო დინების მიდამოებში თესავდნენ.

უცებ გრიგალისებრი ქარი ამოვარდა, წამოვიდა კოკისპ�. ... ულული წვიმა. ყინულა, რომელსაც მანამდე შეებოჭა ტაიგის მდინარე, თითქოს აფეთქდაო. უზარმაზარი ხორგები გრუხუნით ეხეთქებოდნენ ერთმანეთს და შექმნეს მრავალმეტრიანი ყინულხერგილები. ნაკადულებმა გზა ვერ გაიკვალეს „დიდი“ წყლისაკენ და ნაპირზე გადმოვიდნენ. მოკლე ხანში წყალმა შვიდი მეტრით აიწია. დაიტბორა საბჭოთა მეურნეობის ცენტრალური კარმიდამო და რამდენიმე სოფელი.

დახმარებას არ დაუყოვნებია. მძიმე პირობებში სამ დღე-ღამეს მუშაობდნენ მესაზღვრე მეომრები. ოფიცრებს ვალერი მოზგუნოვს, ნიკოლოზ სკრილევსა და სხვებს ვერტმფრინავებით გადაყავდათ უსაფრთხო ადგილებში ბავშვები, ქალები, მოხუცები. თვალდადებით შრომობდნენ რიგითი ჯარისკაცები ანატოლი რეგრინცევი, გერმან ბაკიროვი, სერგეი სტუპინი და მათი ამხანაგები.

ხაშველ სამუშაოებს ოპერატიულად ხელმძღვანელობდა წყალდიდობასთან ბრძოლის საოლქო საგანგებო კომისია ამურის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ი. თ. მავრინის მეთაურობით.

დღეს კაშირგამოულობის აღდგენილი ხაზით საკდესის კორესპონდენტი დაუკავშირდა საბჭოთა მეურნეობა „უშაკოვსკის“:

— მხსვერალი არ არის. წყალმა უკან დაიხია. სოფლებში ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში დგება. მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები. მექანიზატორები განაგრძობენ თესვას. საბჭოთა მეურნეობამ მიიღო ხახლირები და მასალები წყალდიდობით დაზარალებული საცხოვრებელი სახლებისა და საწარმოო ნაგებობების შესაკეთებლად.

□

ჩრდილოეთის მდინარეები — სამხრეთისაკენ

ძველ კალაპოტში გადადგებას უპირებენ ციმბირის მდინარე ირტიშის წყლის ნაწილს, მდინარისა, რომელიც გამყინვარების პერიოდში მიედინებოდა არა ჩრდილოეთით, არამედ... სამხრეთით. პროექტით გათვალისწინებულია ამ მდინარის წყლით შეავსონ წყალმარჩხი არალის ზღვის მარაგი.

ციმბირის მეურნეობის დაუზარალებლად ირტიში უნდა შეეერთონ შუა აზიის უდიდეს მდინარეებს სირდარიასა და ამუ-დარიას, რომლებიც ამ ზღვას ერთვიან.

გიგანტური წყლის ნაკადის გადაგდებას უზარმაზარ ყოფილ მძლავრი სატუმბი სადგურები და სხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობანი. წყლის დაიწყება დიტალური კვლევა, რომელიც მოიცავს თითქმის სამ მილიონ ჰექტარ ფართობს. ეს კვლევა საჭიროა პროექტის უფრო კონკრეტული დამუშავებისათვის. (საკდესი).

სტალინური ეროვნული დროშა

[illegible] ... ბ. მაისი. (სპეციალი კორ. ვ. ტროფიმოვი). ხაშიშროებას არავინ არ მოელოდა. საბჭოთა მეურნეობა „უშაკოვსკის“ მიწათმოქმედნი ამურის ზემო დინების მიდამოებში თესავდნენ.

უცებ გრიგალისებრი ქარი ამოვარდა, წამოვიდა კოკისპირული წვიმა. ყინული, რომელსაც მანამდე შეებოჭა ტაიგის მდინარე, თითქოს აფეთქდაო. უზარმაზარი ხორგები გრუხუნით ეხეთქებოდნენ ერთმანეთს და შექმნეს მრავალმეტრიანი ყინულხერგილები. ნაკადულებმა გზა ვერ გაიკვალეს „დიდი“ წყლისაკენ და ნა